ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ქალადოგისგან დაცვის
ეროვნული ქსელი
Anti-Violence Network
of Georgia

2017

ქალადოგრივი ქცევის გამომწვევი რისკ ფაქტორები

ძალადობრივი ქცევის გამომწვევი რისკ ფაქტორები

“წინამდებარე კვლევა შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და კვლევის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია”.

2017

ავტორი: **ლია მელაშვილი; ელისო ამირეჯიბი**
რედაქტორი: **ლია საიქვაძე**
გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი: **ნატო შავლაყაძე; ნინო ჩიხლაძე**

სარჩევი

შესავალი.....4
ძალადობრივ ქცევასთან დაკავშირებული ფაქტორები.....5
ინდივიდუალური ფაქტორები: 5
სიტუაციური ფაქტორები: 6
საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორები 6
კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია 7
შედეგები.....7
ინდივიდუალური ფაქტორები 7
პირველადი ოჯახი 7
ტრავმული გამოცდილებები, ფსიქიკური ჯანმრთელობის
პრობლემები და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება: 8
სიტუაციური ფაქტორები: ქორწინება 9
დანაშაული.....11
საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორები 12
დასკვნა.....13
ბიბლიოგრაფია 17
დანართი 1 19

„როდესაც ირჩევთ დუმილს, თქვენ უკვე მეტყველებთ. როდესაც ირჩევთ უმოქმედობას, თქვენ უკვე მოქმედებთ“ –
დიტრიხ ბონჰოფერი

შესავალი

ოჯახში ძალადობა მსოფლიოში გავრცელებული დანაშაულია. სამწუხაროდ, საქართველოც არ არის გამონაკლისი. ძალადობის მსხვერპლი შესაძლოა გახდეს ნებისმიერი ადამიანი. ყველაზე დიდი საფრთხე კი, ქალს ემუქრება იქ, სადაც ამას ნაკლებად ელის – ოჯახში. ოჯახში ძალადობა, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად დაფარული დანაშაულია. ბოლო დრომდე ის მიჩნეული იყო „ოჯახის საქმედ“ და მასზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა. ძალადობის დაუსჯელობა მოძალადის ძალაუფლებას აძლიერებდა, წლების განმავლობაში გრძელდებოდა და თითქოს არასდროს სრულდებოდა. ქალები, რომლებმაც არ დამალეს ძალადობა, მიიღეს ერთგვარი გადაწყვეტილება, უარი ეთქვათ მსხვერპლის როლზე, ხოლო მოძალადეები დაესაჯათ. თუმცა, ძალადობრივი ქმედების არცერთი მიზეზი არ ამართლებს მოძალადის ქცევას, აღნიშნული რისკ ფაქტორები გვეხმარება იმის უკეთ გაგებაში თუ რატომ არის მოძალადისთვის მისაღები პარტნიორზე ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ძალადობა და რა პრევენციული ზომების, სერვისების შექმნა და დანერგვაა საჭირო სამომავლოს აღნიშნული პრობლემის შესამცირებლად.

საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ მოძალადე საჭიროებს დახმარებას დაძლიოს საკუთარი არაჯანსაღი და დესტრუქციული ქცევა.

ოჯახში ძალადობა – პარტნიორთან ურთიერთობაში კონტროლისა და დომინანტობის მოპოვების სურვილითაა განპირობებული პარტნიორის დომინანტობა შეიძლება გამოიხატოს ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ძალადობით. პარტნიორზე ძალადობა მოიცავს: ფიზიკურ აგრესიას (სილის გარტყმა, მუშტის დარტყმა, ფეხის ჩარტყმა, ცემა, იარაღის გამოყენება ან იარაღის გამოყენებით მუქარა), ფსიქოლოგიურ ძალადობას (სისტემატური დამცირება, შეურაცხყოფა, მუქარა, დაშინება), ნებისმიერი სახის სექსუალური აქტის ძალდატანებით განხორციელებას და სხვა ქმედებებს, რომლებიც მიმართულია პარტნიორის კონტროლისკენ (მისი იზოლირება ოჯახის წევრების და მეგობრებისგან, მისი მოქმედებების და გადაადგილების მეთვალყურეობა, ინფორმაციის, ფინანსური სახსრების და სხვა შესაძლებლობების შეზღუდვა და კონტროლი) (Steward, MacMillan, Wathen, 2012).

ძალადობას, როგორც წესი, ეკოლოგიური მოდელის მიხედვით განსაზღვრავენ, რომლის თანახმადაც, ძალადობრივი ქცევის რისკფაქტორები არა განყენებულად, არამედ ინდივიდუალური, სიტუაციური, საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორების ერთობლიობად განიხილება (Heise, 1998; Dutton, 1995).

ძალადობრივ ქცევასთან დაკავშირებული ფაქტორები

ინდივიდუალური ფაქტორები:

ბლეკის და კოლეგების მიხედვით (1999), არის გარკვეული დემოგრაფიული და ინდივიდუალური ფაქტორები, რომლებიც ასოცირებულია პარტნიორის მიმართ ძალადობრივ ქცევასთან: ახალგაზრდა ასაკი (ადრეულ ასაკში ქორწინება), დაბალი აკადემიური მოსწრება/განათლების დაბალი საფეხური, აგრესიული ქცევა და დელიქვენტობა (განსაკუთრებით 18 წლამდე) (Moffitt, Caspi, 1999), ფინანსური სირთულეები, უმუშევრობა ან დასაქმების პრობლემა (Steward, MacMillan, Wathen, 2012), ძალადობის წარსული გამოცდილება – როდესაც ბავშვი მშობლებს შორის ძალადობის შემსწრეა, ბავშვობაში გადატანილი აქვს ძალადობა ან მის პირად ცხოვრებაში არსებობს რაიმე სახის ძალადობრივი ეპიზოდი (Caeser, 1998).

მკვლევარები სწავლობდნენ პიროვნულ ფაქტორებს და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, რომლებიც, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს პარტნიორის მიმართ ძალადობასთან. კანადასა და აშშ-ში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მამაკაცები, რომლებიც ძალადობენ პარტნიორებზე არიან მეტად ემოციურები, აქვთ დაბალი თვითშეფასება, არიან იმპულსურები, (Kantor, Jasinski,1998), უჭირთ აგრესიის და მტრული განწყობის კონტროლი, აქვთ დაქვეითებული, დეპრესიული გუნება-განწყობა და პიროვნული აშლილობის შეფასების ინსტრუმენტებზე აქვთ მაღალი მაჩვენებელი (მათ შორის, ანტისოციალური, აგრესიული და მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის მხრივ) (Black et al, 1999).

ასევე, მამაკაცებში პარტნიორის მიმართ აგრესიული ქცევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკფაქტორია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება. კვლევების მიხედვით, იმ ქალ მონაწილეებზე, რომელთა პარტნიორები ბოროტად მოიხმარენ ალკოჰოლს, დაფიქსირდა ფიზიკური ძალადობის ხუთჯერ მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე იმ ქალებზე, რომელთა პარტნიორებიც არ მოიხმარენ ალკოჰოლს (Johnson, 1996). ასევე, ფიზიკური ძალადობის მაღალ მაჩვენებელთან ერთად, უფრო მძიმე იყო ფიზიკური ძალადობის შედეგად მიყენებული დაზიანებების ხარისხიც (Rodgers, 1994).

სიტუაციური ფაქტორები:

სიტუაციურ ფაქტორებში მოიაზრება სირთულეები ინტერპერსონალურ დონეზე, როგორიცაა პარტნიორებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, ოჯახური კონფლიქტები, პრობლემები ურთიერთობაში, არასტაბილური კავშირი (ხშირი დაშორება, განქორწინება), ყოველდღიური სიძნელეები, აზრთა თუ ღირებულებათა სხვადასხვაობა, ფინანსური სტრესი და სხვა (Black et al, 1999; Heise, Garcia-Moreno, 2002).

საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორები:

კვლევების მიხედვით, პარტნიორზე ძალადობის მაჩვენებელი, ჩვეულებრივ, მაღალია ისეთ საზოგადოებებში, სადაც დამკვიდრებულია რიგიდური გენდერული როლები, სადაც ქალი იწყებს მისთვის არატრადიციული როლის მორგებას, ხოლო მამაკაცურობა დაკავშირებულია დომინანტობასთან, აგრესიასთან (Heise, 1998), სადაც მამაკაცებს აქვთ გადამწყვეტი როლი საოჯახო და ეკონომიკურ საკითხებში, სადაც ქალებს არ აქვთ განქორწინებაზე ადვილი წვდომა, სადაც კონფლიქტები წყდება ძალადობრივი ქცევით. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორზე ძალადობა ყველა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფში გვხვდება, ძალადობის განსაკუთრებულად დიდი პროცენტული წილი მოდის იმ ქალებზე, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ (Ellsberg et al, 1999; Rodgers, 1994; Nelson, Zimmerman,1996; Larrain,1994; Abrahams, Jewkes, Laubsher, 1999). კვლევების მიხედვით, სიღარიბე წარმოადგენს ძალადობის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს. უფრო მეტიც, სიღარიბე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „მარკერი“ სხვადასხვა სოციალურ პირობებში მცხოვრები ქალებისთვის, რადგან ძალადობა მაღალია იმ საზოგადოებაში, სადაც ქალებს არ აქვთ სტაბილური სოციალური მხარდაჭერა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა (Black et al, 1999).

ის, თუ როგორ რეაგირებს საზოგადოება პარტნიორის მიმართ ძალადობაზე, განსაზღვრავს ამ საზოგადოებაში ძალადობის დონეს. 16 სხვადასხვა თემის კვლევის მიხედვით, პარტნიორზე ძალადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო იმ თემში, სადაც პარტნიორზე ძალადობაზე დაწესებულია კონკრეტული სანქციები (იქნება ეს ფორმალურ-სამართლებრივი სახით, თუ მორალური სახით – საზოგადოების ვალდებულება და პასუხისმგებლობა, ჩაერიოს და დაიცვას მსხვერპლი) და სადაც ძალადობის მსხვერპლ ქალებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავი დაეღწიათ ძალადობრივი გარემოსთვის, გადასულიყვნენ თავშესაფარში ან მიეღოთ მხარდაჭერა ოჯახის წევრებისგან (Counts, Brown, Campbell, 1992).

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

ოჯახში ძალადობა მსოფლიოში გავრცელებული პრობლემა. ძალადობრივი ქცევა გაუმართლებელი და დანაშაულებრივი ქმედებაა, რომელსაც აქვს მძიმე გლობალური ტვირთი და ხანგრძლივი ნეგატიური შედეგები. . მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, ძალადობის დროს მიღებული დაზიანებების გარდა, გახანგრძლივებულ სტრესულ მდგომარეობაში ყოფნის შედეგად ორჯერ მაღალი მაჩვენებელი აქვს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების და განვითარების მაშინაც კი, თუ ძალადობა შეწყდა ან ძალადობას წლების წინ ჰქონდა ადგილი (Garcia-Moreno, Guedes, Knerr, 2012).

ეს კვლევა ექსპლორატორული ხასიათისაა; კვლევის მიზანი ძალადობრივი ქცევის ჩადენის რისკფაქტორების კვლევაა.

კვლევის ფარგლებში შემუშავდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. მისი მეშვეობით ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ 16 მონაწილესთან, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ ძალადობრივი დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

შედეგები

ინდივიდუალური ფაქტორები

კვლევის ფარგლებში ჩაღრმავებული ინტერვიუ განხორციელდა 22-64 წლამდე ასაკის 16 მამაკაცთან. მონაწილეთა 87%-ს აქვს საშუალო განათლება, მხოლოდ ერთ მონაწილეს აქვს უმაღლესი განათლება. 31%-მა მიიღო პროფესიული განათლება და შეისწავლა ხელობა.

პირველადი ოჯახი:

მონაწილეების 43% ბავშვობაში შესწრებია მშობლებს შორის ფიზიკურ ძალადობას და თვითონაც იყო ძალადობის მსხვერპლი. მათი თქმით, მშობლებს შორის ხშირი იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური ძალადობა.

მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალადობა დედის მხრიდან დისციპლინის განმტკიცებისა და ცუდი საქციელისთვის დასჯის მეთოდს წარმოადგენდა, ხოლო მამის მხრიდან, უმეტესად, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას უკავშირდებოდა.

ოჯახურ დინამიკაზე საუბრისას, გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ მონაწილეს ხშირად უწევდა შრომა, ბავშვობის ასაკიდან ჩართული იყო ოჯახურ

საქმიანობასა და მეურნეობაში; ასევე, აღინიშნა, რომ ოჯახში დედა, როგორც წესი, დატვირთული და გადაღლილი იყო, ხოლო მამის მხრიდან ადგილი ჰქონდა უგულებელყოფასა და ემოციურ დისტანცირებას.

ნოდარი (49 წლის): „მამა დედას სხვადასხვა მიზეზით ხშირად უბრაზდებოდა და ეჩხუბებოდა. დედა მას სახლის საქმეებში დახმარებას სთხოვდა. მამა არ ეხმარებოდა და შენიშვნებს აძლევდა, ითხოვდა, ჩვენთვის უფრო მეტად მოექცია ყურადღება, მაგალითად, სწავლაში რომ არ ჩამოვრჩენილიყავით. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, თვითონაც მეტი დრო დაეთმო ჩვენთვის. მინახავს, დედას როგორ სცემდა. ეს უფრო შაბათ-კვირას ხდებოდა, როცა მამას მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა და, იმის მაგივრად, რომ ეს დღეები შვილებთან გაეტარებინა, სახლში ნასვამი მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ დედა სულ ჩვენთან იყო, საერთო ჯამში, გვაკლდა მშობლების სითბო. მამას შეეძლო, დრო გამოენახა და ჩვენთვის მეტი ყურადღება დაეთმო, ხოლო დედას, როგორც ახლა ვხვდები, არც ნერვები ჰყოფნიდა და არც დრო იმისთვის, რომ ჩვენთან უფრო კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. ჩვენი დასჯა უფრო მახსოვს, ვიდრე კარგი ქცევისთვის წახალისება.“

ტრავმული გამოცდილებები, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება:

მონაწილეთა 56%-მა აღნიშნა, რომ ცხოვრების მანძილზე, ოჯახური ძალადობის გარდა, სხვა ტრავმული შემთხვევებიც გამოუცდია, როგორიცაა: დის/ძმის გარდაცვალება უბედური შემთხვევის, ოჯახის წევრის მიერ მკვლელობის ან მძიმე ფიზიკური დაავადების შედეგად; მშობლების და ოჯახის წევრების უეცარი გარდაცვალება; შვილის გარდაცვალება დაბადებისას; მცირეწლოვანი შვილის გარდაცვალება ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად და სხვა.

ოთარი (52 წლის): „27 წლის ვიყავი, როდესაც ჩვენს პირველ შვილს მანქანა დაეჯახა. მძღოლი გაიქცა და ბავშვი მიატოვა. შვილი დამეღუპა. მკვლელის ძებნა დავიწყე. 7 წელი ვეძებდი. ხან სად მოვხვდი, ხან – სად. უკვე ნერვები მღალატობდა. პირველი ქურდობაც მაგ დროს ჩავიდინე. მერე 37 წლის და დამეღუპა. ძალიან განვიცადე.“

როგორც ადრეულ, ისე ზრდასრულ ასაკში ტრავმული გამოცდილებები ხშირია თავისუფლებააღკვეთილი პირების პოპულაციაში, რაც დაკავშირებულია გუნება-განწყობის აშლილობების განვითარების რისკთან, სხვა კომორბიდულ აშლილობებთან (როგორიცაა ალკოჰოლის და ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად მოხმარება), ინტერპერსონალურ

პრობლემებთან, სხვების მიმართ აგრესიულ ქცევასთან, თვითდესტრუქციულ და სუიციდურ ქცევასთან (Wolff, Jing, 2012).

ლაშა (42 წლის): „დაბადებიდან პრობლემები მქონდა. დედა უკრაინელი მყავდა, რომელმაც, როგორც ღორი, ისე გამყიდა. 14 წლის ვიყავი, ნათესავმა სიკვდილის წინ რომ მითხრა, აყვანილი ხარო. ძალიან გავბრაზდი. ჩემს ადგილზე, ნებისმიერი გაბრაზდებოდა. ჩემებმა ყველაფერი მიამბეს. მითხრეს, ვინც იყო დედა. მამაზე არაფერი იცოდნენ. როცა გავიზარდე, ჩავაკითხე დედაჩემს. მკვდარი დამხვდა. მოზარდობიდან დავიწყე წამლის მოხმარება. ვიკეთებდი სამეგობრო წრეში, ქუჩაში. ეს თითქოს მავსებდა. როცა არ არის ბედნიერება, ცდილობ, რაღაცნაირად შეავსო.“

მონაწილეთა უმეტესობა მოიხმარდა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს. 18%-მა აღნიშნა, რომ დამოკიდებული იყო ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე (ალკოჰოლი, ნარკოტიკი); მონაწილეთა ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა წარსულში ალკოჰოლის მოხმარების შემდგომ ფსიქოზური ეპიზოდის არსებობა, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, იმპულსური ქცევა, აგრესიის კონტროლის სირთულეები, ჩივილები მომატებული შფოთვის შესახებ, თვითდაზიანებები, სუიციდური იდეების არსებობა დაწესებულებაში მოხვედრამდე და სუიციდის მცდელობები დანაშაულის ჩადენის შემდგომ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

მონაწილეთა 56% წარსულში ნასამართლევია, 43%-ს აქვს ერთზე მეტი ნასამართლობა, 3 მათგანი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვდა 18 წლამდე.

მამუკა (32 წლის): „ოჯახი 1986 წელს დავკარგე. მშობლები, ბებია და ბაბუა ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ, როდესაც მოსკოვიდან ერთად მოფრინავდნენ. მე და ჩემი ძმა ობლად დავრჩით. მეზობლებმა ბავშვთა სახლში ჩაგვაბარეს. იქ ვიზრდებოდი 14 წლამდე. 14 წლიდან კი სულ ციხეში ვარ. 12-ჯერ ვარ ნასამართლევი.“

სიტუაციური ფაქტორები: ქორწინება

მონაწილეთა 87% იყო ქორწინებაში, ჰყავთ შვილები. დაოჯახების ასაკი მერყეობს 15-35 წლამდე (საშუალო ასაკი: 22 წელი).

მონაწილეთა 81%-მა აღნიშნა, რომ აქვს ოჯახური პრობლემები. ოჯახში კონფლიქტის ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა უმუშევრობა, ფინანსური სირთულეები, ფინანსების გადანაწილებასთან დაკავშირებული უთანხმოებები, ფლანგვა/ აზარტული თამაშები და სხვა. მონაწილეთა 62% იყო დასაქმებული (თვითდასაქმებული, დასაქმებული ხელობით),

ხოლო 12%-ს არასოდეს უმუშავია. იმ მონაწილეთაგან, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ, მხოლოდ 18%-მა აღნიშნა, რომ ოჯახში, ფინანსური თვალსაზრისით, დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აქვს.

ლუკა (48 წლის): „ოჯახის შექმნიდან ჩვენს ურთიერთობაში მალე-ვე დაიწყო წვრილ-წვრილი კონფლიქტები. სისტემატურად მხოლოდ მე ვმუშაობდი – ხან მიწაზე, ხან ხილს ვკრეფდი, ხან მანქანის ნაწილებს ვყიდდი. დილიდან ღამემდე თავდაუზოგავად ვშრომობდი იმისთვის, რომ დღის ბოლოს ოჯახში პურის ფული შემეტანა. ოჯახის ფინანსებსაც თავად განვკარგავდი. მე თავად ვწყვეტდი, თუ რა და როდის გვეყიდა. ამიტომ ჩემს გაღიზიანებას იწვევდა, როდესაც ცოლი არ მემორჩილებოდა. მაგალითად: ბავშვებისთვის დამოუკიდებლად ყიდულობდა ტანსაცმელს, ხშირი ურთიერთობა ჰქონდა დედასთან და დასთან, რომლებიც „ცუდ ზეგავლენას ახდენენ“ მასზე.“

მონაწილეების მხრიდან ოჯახში პრობლემების მიზეზად ასევე დასახელდა: კონფლიქტი ქალის ოჯახის წევრებთან, მათი მხრიდან წყვილის ურთიერთობაში ჩარევა; მამაკაცის მხრიდან ღალატი; ქალის მხრიდან დაუმორჩილებლობა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება; აზრთა სხვადასხვაობა შვილების აღზრდასა და ოჯახურ როლებზე.

საჰიბი (51 წლის): „20 წელზე მეტი ვიცხოვრეთ ერთად. ბოლო ორი წელი რაღაც სხვანაირად იქცეოდა. ადრე რასაც ვიტყოდი, არასდროს არაფერს აპროტესტებდა. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, თურქეთში წავიდა სამუშაოდ. ადრე სტუმრებთან არც კი გამოდიოდა, რცხვენოდა. ბოლოს კი, რიდი საერთოდ დაკარგა. სხვების თანდასწრებით ხმამაღლა იცინოდა, გამომწვევად იცვამდა, თავს არ აკონტროლებდა.“

თუ მამაკაცი მიიჩნევს, რომ ქალი ვერ ასრულებს მის როლს, ან გადააბიჯა მისთვის საზოგადოების ან მამაკაცის მიერ დაწესებულ საზღვრებს, ამაზე პასუხი შესაძლოა იყოს ძალადობა, რომლის მიზანს წარმოადგენს მისი დამორჩილება, შემდგომში ასეთი საქციელის განმეორებით ჩადენის ალბათობის შემცირება, დასჯა და დისციპლინის დამყარება (Heise, Garcia-Moreno, 2002).

ლუკა (48 წლის): „სამსახურის დასრულების შემდეგ, მე, ჩემი ქვისლი და ჩემი სიდედრი სახლში წამოვედით. მგზავრობის საფასური, ორი ლარი, მეც და ჩემს ქვისლსაც სიდედრმა გადაგვიხადა. სახლში მისვლისას, კაცებმა ლუდის დალევა გადავწყვიტეთ. ეს როგორც კი გაიგო ჩემი ცოლის დამ, მეც და მის ქმარსაც აგრესიული ტონით მგზავრობის საფასურის გადახდა მოგვთხოვა. გავბრაზდი, უფრო იმაზე, რომ ქმარმა მას „საკადრისი“ პასუხი არ გასცა. ცოლის დას ვუყვირე, მერე ცოლსაც მივდექი და ორჯერ ჩავარტყი მუშტი. საპატრულო პოლიცია ცოლის დამ გამოიძახა, პოლიციას სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი მოჰყვა და ჩემი

მეუღლე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჩემ მიმართ კი, შემაკავებელი ორ-დერი გამოწერეს.“

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ხშირად წინ უსწრებს ქალის მიმართ ძალადობას. მონაწილეთა 56%-მა აღიარა თანაცხოვრებისას პარტნიორზე ძალადობის ფაქტი. მათი თქმით, პარტნიორთან ოჯახური თანაცხოვრე-ბის მანძილზე ადგილი ჰქონია: ხმის აწევას, ყვირილს, შეურაცხყოფას, ხელის კვრას, ნივთების სროლას, ხელის გარტყმას, მუშტის დარტყმას, ცემას, სიცოცხლის მოსპობის მუქარას, ასევე, ოჯახის გარეთ ურთიერ-თობების, გადაწყვეტილებებისა და ქცევის კონტროლს.

დანაშაული:

კვლევის მონაწილეები სასჯელს იხდიდნენ ძალადობრივი დანაშაუ-ლისთვის (სსკ-ის 109-ე და 126-ე პრიმა მუხლი). მათი უმრავლესობა მეუ-ღლის მიმართ ფიზიკური ძალადობის ან კონფლიქტის საფუძველზე იყო დაკავებული. რამდენიმე მათგანი სასჯელს იხდიდა მშობლების/შვილების მიმართ ძალადობის გამო, ხოლო ოთხი მონაწილე – მკვლელობისთვის (მათგან სამი – ცოლის/პარტნიორის, ხოლო ერთი – ოჯახის წევრის მკ-ვლელობისთვის).

მონაწილეთა 68% დანაშაულის ჩადენისას იყო ფსიქოაქტიური ნივ-თიერებების ზემოქმედების ქვეშ.

მამუკა (32 წლის): „ბოლო პერიოდში ბევრს ვსვამდი, ხშირად ვჩხუ-ბობდი. ბოლოს ისე გავაფრინე ჩხუბის დროს, ოთხი ნეკნი ჩავუმტვრიე (ცოლს). დოზაზე მეტი, 2 ლიტრი არაყი მქონდა დალეული და იმპულსუ-რად ვმოქმედებდი. ყოველთვის ალკოჰოლი იყო ჩემი ნონასწორობიდან გამოსვლის მიზეზი.“

ჩადენილი დანაშაულის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მონაწილეთა ნაწილი განიცდის ჩადენილ ქმედებას, ნაწილი კი, მომხდარ მოვლენაზე პასუხისმგებლობას ნაწილობრივ ირიდებს, აკისრებს მსხვერ-პლს ან გარემო ფაქტორებს: „ვნანობ რაც ჩავიდინე, თუმცა, მომხდარში ცოლსაც ვადანაშაულებ“; „ეს არ მოხდებოდა მეტი ტვინი რომ ჰქონოდა თავში“; „მას ჩემი რჩევა უნდა გაეთვალისწინებინა და დის ოჯახისგან თავი შორს დაეჭირა.“

გარემო ფაქტორები, რომლებიც დასახელდა მონაწილეთა მხრიდან, შემდეგია: პროვოცირება მეუღლის ოჯახის წევრების მიერ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ალკოჰოლის მოხმარება და სხვა.

გრიშა (63 წლის): „ცოლის მკვლელობისთვის ვიხდი სასჯელს. არ უნდა მოეცათ ამდენი. ლოთი ვიყავი, იცოდნენ. სოფელში ყველა სვამს. მეც ვსვამდი და მერე რაღაცები მეჩვენებოდა.“

რამდენიმე ინტერვიუში ასევე დაფიქსირდა ჩადენილი ქმედების, მიყენებული ემოციური თუ ფიზიკური ზიანის მინიმიზაცია. ამის მაგალითია კონფლიქტი, რომელიც ფიზიკურ დაზიანებაში გადაიზარდა, რადგან შვილი არ დაემორჩილა მამას.

თემური (64 წლის): „2010 წელს ქალიშვილს ვეჩხუბე ... ისეთ მეგობართან წავიდა, ვისთანაც არ უნდა წასულიყო. კონფლიქტის დროს ჩემი შვილი დაიჭრა. მეუღლე გადაეფარა და მანაც მიიღო დაზიანება. ბევრი არაფერი, უბრალო ნაკაწრი იყო, მაგრამ მაინც მომისაჯეს."

საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორები:

ძალადობრივი ქმედების გამართლება ხშირად საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული რწმენების და კონკრეტული სოციალური ნორმების შედეგია. ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა მონაწილეთა შეხედულებები და დამოკიდებულებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

აღინიშნა, რომ მამაკაცი პრივილეგირებული და სოციალურად უპირატესია, რადგან „...მაინც გვარის გამგრძელებელია; კაცს თავისი ადგილი აქვს, გოგოს თავისი; კაცი ოჯახში შემომტანი უნდა იყოს; ქალსა და კაცს შორის თანასწორობა ვერ იქნება". შესაბამისად მიიჩნევა, რომ მამაკაცის შეხედულებები, სურვილები, საჭიროებები და უფლებები სხვა პირის უფლებებზე, საჭიროებებსა თუ სურვილებზე უპირატესია და მათი დაუკმაყოფილებლობა იწვევს მწვავე ფრუსტრაციას და აგრესიას.

კონფლიქტი ან ოჯახში ძალადობა მიიჩნევა ოჯახის პირად საქმედ და არა – სამართალდარღვევად ან დანაშაულად.

დათო (28 წლის): „ჩვენს კონფლიქტში არავინ არასდროს ჩარეულა, მაგას ვინ გაბედავდა? ჩემს ოჯახში რა უნდა პოლიციას და მეზობელს?"

მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალმა უნდა მოითმინოს, გაგებით მოეკიდოს ძალადობას და შეინარჩუნოს ოჯახი, ხოლო ოჯახის დანგრევა მიუღებელი და სამარცხვინოა.

გრიშა (63 წლის): „ჩემი გოგო ქმარს რომ გასცილდა, სახლში არ შემოვუშვი. სად წავიდა? სად და ჯანდაბაში! არ ვიცი! იცოდა, რომ არ უნდა მოსულიყო. ხან ბიძასთან ეგდო და ხან სად. არ მაინტერესებდა."

ასევე, მონაწილეთა შეხედულებებზე დაყრდნობით, ქალის გადაწყვეტილება, გაწყვიტოს ურთიერთობა პარტნიორთან ან განქორწინდეს, აღიქმება დანაშაულად, რისთვისაც ქალმა პასუხი უნდა აგოს.

ლაშა (42 წლის): „... შენი გამოსწორება არ იქნებაო, გაიხურა კარი და წავიდა, მიმატოვა, დამშორდა ... რომ ვნახავ, მოვკლავ-მეთქი, ნათქვამი მაქვს. გამკეთებელი ვარ. ალბათ ესეც უნდა მოხდეს. მე საერთოდ პატიება არ ვიცი, მან ისეთი რამ ჩაიდინა, რომ ყველაფრის ღირსია. ცოტა მკაცრი გგონივართ ალბათ? მაგრამ მე ჩემი წესები მაქვს."

ჩადენილი ქმედების ანალიზზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ოჯახის წევრების თუ თემის დამოკიდებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჯახის წევრი მამაკაცები ან თემის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ძალადობა გამართლებულია.

საჰიბი (51 წლის): „პატარა რკინის ნაჭერი ავიღე და რამდენჯერმე ჩავარტყი თავში. არ უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ცუდ ადგილას მოხვდა. მოვკალი, მაგრამ ამას ნამდვილად არ ვგეგმავდი. ასე გამოვიდა. ეს მისი არჩევანი აღმოჩნდა. ბოლომდე მეგონა, რომ ჭკუაზე მოვიყვანდი, გარშემო ხალხიც აკვირდებოდა ჩვენი ურთიერთობების განვითარებას. ახლა მათ თვალში მე ჩემი ღირსება დავიცავი. ჩემმა ცოლმა კი, თავისი არჩევანი თვითონ გააკეთა."

დასკვნა

კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ინდივიდუალური, სიტუაციური, საზოგადოებრივი და კულტურული რისკფაქტორების ერთობლიობა ხელს უწყობს ზრდასრულ ასაკში ძალადობრივ ქმედებას.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი რისკფაქტორები, როგორიცაა: ბავშვობაში გადატანილი ძალადობა, დაბალი აკადემიური მოსწრება, ცხოვრების მანძილზე გადატანილი ტრავმები, არასრულწლოვან ასაკში სამართალდარღვევების ჩადენა/ ნასამართლობის ისტორია, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოროტად მოხმარება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, პარტნიორთან კონფლიქტები, დასაქმების სირთულეები, ფინანსური სტრესი, ტრადიციული და რიგიდული სოციალური ნორმები, საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებები და დამოკიდებულებები, რომლებიც ამართლებს, მიზანშეწონილად ან მისაღებად მიიჩნევს ძალადობრივ ქმედებას – ხელს უწყობს ძალადობრივ ქცევას. აღნიშნული შედეგები შეესაბამება საერთაშორისო კვლევების შედეგებს.

გამომდინარე იქედან, რომ კვლევა ექსპლორატორული ხასიათისაა და მონაწილეთა მწირი რაოდენობა არ იძლევა შედეგების გენერალიზაციის საშუალებას, საჭიროა აღნიშნული საკითხის უფრო ღრმა და ვრცელი კვლევა.

ინტერვენციები

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში ძალადობის პრევენციის შესახებ (WHO, Violence prevention: The evidence, 2010) მოიცავს ინფორმაციას ძალადობის პრევენციის სტრატეგიების და სხვადასხვა ქვეყანაში დანერგილი პროგრამების ეფექტურობის შესახებ.

ანგარიშის მიხედვით, **მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მშობლებს შორის უსაფრთხო, სტაბილური და პოზიტიური ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობა** ისეთი ინტერვენციების დანერგვით, როგორიცაა: პროგრამები მშობლებისა და ბავშვებისთვის, რაც გულისხმობს სხვადასხვა ცენტრის ჯგუფურ და ინდივიდუალურ მომსახურებას; გადამზადებული სპეციალისტების ოჯახში ვიზიტებს, რომლებიც ფოკუსირებულია მშობლობის უნარების განვითარებაზე, ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე; მშობელს სთავაზობს მხარდაჭერას, ინფორმაციას ბავშვის განვითარების ეტაპებისა და საჭიროებების შესახებ, მოვლის, აღზრდის და ფიზიკური ჯანმრთელობის თაობაზე, ეხმარება ბავშვის პრობლემური ქცევის შემცირებასა და გამკლავებაში და მიმართულია პოზიტიურ მშობლობაზე.

მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრებისეული უნარების განვითარების ხელშეწყობა, რისთვისაც შემუშავებულია სხვადასხვა სოციალური განვითარების პროგრამა. მათი მიზანია ბავშვებში ემოციური, ქცევითი და სოციალური უნარებისა და კომპეტენციების განვითარება.

ეს პროგრამები ფოკუსირებულია ბავშვების ემოციური უნარების განვითარებაზე, სირთულეებთან გამკლავების სტრატეგიების, პრობლემების გადაჭრის ადაპტური გზების სწავლებასა და კონფლიქტის მოგვარებაზე, აკადემიური მოსწრებისა და მიღწევების გაუმჯობესებაზე (სკოლის შემდგომ მხარდაჭერის, დახმარებისა და სხვადასხვა აქტივობის შეთავაზებით), მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის სკოლის დასრულების და შემდგომი სწავლის/განვითარების წახალისებაზე (მათ შორის ფინანსური წახალისება), ახალგაზრდების პროფესიულ გადამზადებასა და სწავლებაზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ზემოაღნიშნული პროგრამები: ხელს უწყობს ბავშვის სწორ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ბავშვსა და მშობელს შორის; ამცირებს ბავშვის პრობლემურ, აგრესიულ ქცევას, ასევე, ბავშვებზე ძალადობის შემთხვევებს; აუმჯობესებს სოციალურ უნარებს, აკადემიურ მოსწრებას, აგრეთვე, სამომავლოდ დასაქმების პერსპექტივას (განსაკუთრებით იმ ბავშვებისთვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ან ცხოვრობენ დანაშაულის მაღალი მაჩვენებლის მქონე თემში); ამცირებს მოზარდობასა და ახალგაზრდობაში სამართალდარღვევებისა და ძალადობრივი ქმედებების რისკს.

ასევე, პროგრამებით გათვალისწინებულია **ზრუნვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოროტად მოხმარების პრობლემის მოსაგვარებლად** – ალკოჰო-

ლის ხელმისაწვდომობის შეზღუდვით, შესაბამისი ფსიქოსოციალური და სარეაბილიტაციო სერვისების დახმარებით, ხოლო სერვისებში – ეფექტური და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მომსახურების დანერგვით.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და პან ამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიშების მიხედვით (Heise, Garcia-Moreno, 2002; Garcia-Moreno, Guedes, Knerr, 2012), სხვადასხვა ქვეყნის კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, მიიჩნევა, რომ ოჯახში და პარტნიორზე ძალადობის პრევენციისთვის ასევე მნიშვნელოვანია კომპლექსური, მულტი-სექტორული და გრძელვადიანი თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, აგრეთვე, შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

საკანონმდებლო ცვლილებები და რეფორმები – ოჯახში, პარტნიორზე ძალადობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეფორმები, რომლებიც მოიცავს ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის კრიმინალიზაციას. ასეთი საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი მესიჯი ის არის, რომ პარტნიორზე ძალადობა არ არის პირადი, ოჯახური საკითხი, არამედ დანაშაულია.

საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, სხვადასხვა განვითარებად ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოების მოხელეთა გადამზადება, იქმნება ოჯახში ძალადობის განხილვის სპეციალური სამართლებრივი სისტემები, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მომუშავე სპეციალური ქვედანაყოფები და სხვა.

ქალთა სამოქალაქო უფლებების გაძლიერება – განქორწინების, ქონების, მეურვეობის და საალიმენტო მოვალეობების თვალსაზრისით მუშაობა და ქალების და გოგონების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

ცნობიერების ამაღლება – ადვოკატირების კამპანიების ორგანიზება არსებულ პრობლემაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებულ სერვისებზე, სერვისებთან დაკავშირებასა და მომსახურების მიღების გზებზე ინფორმაციის გავრცელება; მამაკაცების და ბიჭების ჩართვა გენდერული თანასწორობისა და არაძალადობრივი კომუნიკაციის ხელშეწყობის საქმეში; მუშაობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მათი მხრიდან ჩარევასთან, პასუხისმგებლობასა და ვალდებულებასთან დაკავშირებით ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას.

სხვადასხვა ინსტიტუციასა და სექტორში ოჯახში ძალადობის ამოცნობის, შეტყობინების ვალდებულების დაკისრება და შესაბამისი რეაგირების გზების დანერგვა – მაგალითად, ჯანდაცვის სერვისებში, რომლებიც მნიშვნელოვანი კომპონენტია ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებისთვის. სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ინტერვენციები ფოკუსირებულია ჯანდაცვის მუშაკებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე, მათ გადამზადებაზე, რუტინული სკრინინგის ჩატარების წახალისებაზე, პროტოკოლისა და სპეციალური ინსტრუმენტების შემუშავება-დანერგვაზე

იმისათვის, რომ აღნიშნულ სერვისებში შესაძლებელი იყოს ძალადობის იდენტიფიცირება და მისი სწორი მენეჯმენტი, როგორიცაა შესაბამისი მხარდაჭერის მიწოდება და სათანადო სერვისებში გადამისამართება.

თემში მულტიდისციპლინური და მულტისექტორული სერვისების შექმნა, რომელთა მიზანი იქნება ოჯახში და პარტნიორზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება და მსხვერპლთათვის მხარდაჭერისა და შესაბამისი სერვისების შეთავაზება – დახმარების ცხელი ხაზი, ფსიქოსოციალური ინტერვენციები, კრიზისული ცენტრები, თავშესაფრები, უსაფრთხო სახლები და სხვა სათემო სერვისები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ასეთი სერვისები უზრუნველყოფს სპეციალურ პროგრამებს ბავშვებისთვის, ჯგუფურ მხარდაჭერას, ინდივიდუალურ კონსულტაციებს, სოციალურ სერვისებსა და იურიდიულ მომსახურებას, ამასთან, მოიცავს განათლების კომპონენტს, როგორიცაა ტრენინგები, პროფესიული გადამზადება და საჭირო უნარებით აღჭურვა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფს მკურნალობასა და სხვა მულტიდისციპლინურ სერვისებს, რომლებსაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები და ბავშვები საჭიროებენ.

სარეაბილიტაციო პროგრამები მოძალადეთათვის ინოვაციურ სერვისად მიიჩნევა, რომელიც დაინერგა და გავრცელდა აშშ-დან ავსტრალიაში, კანადაში, ევროპასა და განვითარებად ქვეყნებში. ამ პროგრამათა უმრავლესობა მიმდინარეობს ჯგუფურ ფორმატში, სადაც განიხილება გენდერული როლები, ხდება უნარების განვითარება, მათ შორის, სტრესთან და აგრესიასთან გამკლავების კუთხით, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების სწავლება და სხვა. ამ პროგრამების შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასში ჩართული მამაკაცების 1/3 პროგრამას არ ასრულებს, მამაკაცების ნაწილი, რომელთა გადამისამართებაც ხდება, პროგრამაში საერთოდ არ ერთვება, ხოლო იმ მამაკაცთა უმრავლესობის მხრიდან (53-85%), რომლებიც სარეაბილიტაციო პროგრამას ასრულებენ, მომდევნო 2 წლის მანძილზე ადგილი აღარ აქვს ძალადობრივ ქმედებებს. თუმცა, ეს პროცენტული მაჩვენებელი იკლებს შემდგომი წლების მანძილზე (Heise, Garcia-Moreno, 2002). არსებული პროგრამების მიმოხილვაზე დაყრდნობით, საუკეთესო შედეგები მიიღწევა, თუ:

- პროგრამა გრძელვადიანია;
- პროგრამა მუშაობს მამაკაცების დამოკიდებულების ცვლილებაზე, სადაც ისინი ღიად განიხილავენ მათ ქმედებებს და ხდება მუშაობა ქცევის კორექციაზე;
- მონაწილეები ასრულებენ პროგრამას;
- მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამები და სამართლებრივი სისტემა ურთიერთთანამშრომლობს და, პროგრამის წესებისა თუ პირობების დარღვევის შემთხვევაში, მონაწილეს ეკისრება კონკრეტული სამართლებრივი სადამსჯელო სანქციები (Heise, Garcia-Moreno, 2002).

ბიბლიოგრაფია

Abrahams N, Jewkes R, Laubsher R. I do not believe in democracy in the home: menks relationships with and abuse of women. Tyberberg, Centre for Epidemiological Research in South Africa, Medical Research Council, 1999.

Black DA et al. Partner, child abuse risk factors literature review. National Network of Family Resiliency, National Network for Health, 1999.

Caeser P. Exposure to violence in the families of origin among wife abusers and maritally nonviolent men. Violence and Victims, 1998, 3:49d63.

Counts DA, Brown J, Campbell J. Sanctions and sanctuary: cultural perspectives on the beating of wives. Boulder, CO, Westview Press, 1992.

Dutton DG. The domestic assault of women: psychological and criminal justice perspectives. Vancouver, University of British Colombia Press, 1995.

Ellsberg MC et al. Wife abuse among women of childbearing age in Nicaragua. American Journal of Public Health, 1999, 89:241d244.

Garcia-Moreno, C., Guedes, A., Knerr, W. Understanding and Addressing Violence against Women. 2012. http://apps.who.int/iris/bitstream/10665/77432/1/WHO_RHR_12.36_eng.pdf?ua=1

Heise L, Garcia-Moreno C. Violence by intimate partners. In: Krug E, Dahlberg LL, Mercy JA, et al., editors. *World report on violence and health*. Geneva (Switzerland): World Health Organization; 2002. p. 87d-121.

Heise L. Violence against women: an integrated ecological framework. Violence Against Women 1998, 4:262d290.

Johnson H. Dangerous domains: violence against women in Canada. Ontario, International Thomson Publishing, 1996.

Kantor GK, Jasinski JL. Dynamics and risk factors in partner violence. In: Jasinski JL, Williams LM, eds. Partner violence: a comprehensive review of 20 years of research. Thousand Oaks, CA, Sage, 1998.

Larrain SH. Violencia puertas adentro: la mujer golpeada. [Violence behind closed doors: the battered women.] Santiago, Editorial Universitaria,1994.

Levinson D. Family violence in cross-cultural perspective. Thousand Oaks, CA, Sage, 1989.

Moffitt TE, Caspi A. Findings about partner violence from the Dunedin multi-disciplinary health and development study, New Zealand. Washington, DC, National Institutes of Justice, 1999.

Nelson E, Zimmerman C. Household survey on domestic violence in Cambodia. Phnom Penh, Ministry of Womenks Affairs and Project Against Domestic Violence, 1996.

Rodgers K. Wife assault: the findings of a national survey. Juristat Service Bulletin, 1994, 14:1d22.

Schuler SR et al. Credit programs, patriarchy and menks violence against women in rural Bangladesh.Social Science and Medicine, 1996, 43:1729d1742.

Stewart,D., MacMillan, H., Wathen, N. Intimate Partner Violence. The Canadian Journal of Psychiatry, Vol 58, No 6, 2012.

Wolff, N, Jing, S. Childhood and Adult Trauma Experiences of Incarcerated Persons and Their Relationship to Adult Behavioral Health Problems and Treatment. Int J Environ Res Public Health. 2012 May; 9(5): 1908d1926.

WHO. Violence Prevention: The evidence, Series of briefings on violence prevention. 2010. http://apps.who.int/iris/bitstream/10665/77936/1/9789241500845_eng.pdf?ua=1

დანართი 1

ალეკო, 28 წლის

მშობლებმა გამზარდეს. დედა მომვლელი იყო, მამა მწყემსი. მშობლებთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს. ერთი ძმა მყავს. დედ-მამა არ გვარჩევდნენ და ორივეს ერთნაირად გვექცეოდნენ. ჩემი მშობლები სიმკაცრით არ გამოირჩეოდნენ, არ გვსჯიდნენ. ცდილობდნენ, სოფელში საქმით ზედმეტად არ დავეტვირთეთ.

არანაირი განათლება არ მიმიღია. სკოლაში არ მივლია, ამიტომ, ძირითადად, მეზობლებთან ვმეგობრობ.

ცოლი, ბიძის რჩევით და გარიგებით მოვიყვანე. მაშინ სოფელში მწყემსად ვმუშაობდი. გაცნობიდან თვენახევარში დავქორწინდით.

11 წელია ცოლ-ქმარი ვართ. გვყავს ათი წლის გოგონა. ერთად ვცხოვრობდით ჩემი მეუღლე, შვილი და ჩემი მშობლები. ჩვენი ურთიერთობის გაწყვეტაში ბრალი მის მშობლებს, დას და დის ქმარს მიუძღვის.

მის ნათესავებზე ვიყავი გაბრაზებული. ჩემი ცოლის მშობლები ლოთები არიან და არ მომწონდა მათი საქციელი. მივედი მათთან. ქვისლთან შელაპარაკების დროს ჩემი მეუღლე მაშველებდა. ნასვამი ვიყავი, იმპულსურად ვმოქმედებდი, ვერ მოვზომე და სილა გავარტყი. მეზობლები ჩაერივნენ, გამოიძახეს პატრული და დამაკავეს. ქვისლთან ადრეც მქონდა კონფლიქტი, მაშინაც ვცემე.

მე და ჩემს ცოლს კონფლიქტამდე არანაირი პრობლემა არ გვქონია. ჩვენი უთანხმოების მიზეზი ის გახდა, რომ ჩემი სიმამრი და სიდედრი ლოთები არიან. არ მინდა, ჩემი შვილი ასეთ ხალხთან იზრდებოდეს.

ჩემი მეუღლე თავის მშობლებთან დაბრუნდა და ბავშვის ნახვას მიკრძალავს.

ამჟამად ცოლ-შვილთან ურთიერთობა არ მაქვს. ამ შემთხვევამდე არც ერთი ჩვენთაგანი დაშორებაზე არც ფიქრობდა.

გელა, 49 წლის

მამა ჩვენთვის არაფერს წარმოადგენდა. არ გვკითხულობდა, არაფერი აინტერესებდა. დედა სულ ნერვიულობდა, მამა რომ არ მონაწილეობდა ჩვენს აღზრდაში. შესაბამისად, მამასთან ცივი ურთიერთობა მქონდა. ხშირად ნასვამი მოდიოდა სახლში. მკაცრი იყო ჩვენ მიმართ, რომ არაფერი მოგვეთხოვა. ბევრჯერ ფიზიკურადაც გვსჯიდა. გამონაკლისი იყო ჩემი და, მასთან ჩხუბს ერიდებოდა, ალბათ გოგო რომ იყო იმიტომ, არც ხელით ეხებოდა. ჩემთან კი ... ჩემ მიმართ მამა მკაცრი იყო. დასასჯელად მიზეზი არ სჭირდებოდა. ნასვამი თუ მოვიდოდა, მაშინ ხომ საერთოდ ყველაფერზე ჩხუბობდა. დედა ცდილობდა ჩვენს დაცვას და ამიტომ მასაც ხვდებოდა ხოლმე. დედის თავზე გადადიოდა ყველაფერი. როცა გავიზარდე, დედას ვესარჩლებოდი.

დედა მეურნეობაში მუშაობდა, მამა ხან მექანიზატორად, ხან ტრაქტორისტად. სმას გადაჰყვა, ცეროზით გარდაიცვალა.

დედა ძალიან მეხმარებოდა შვილების აღზრდაში. ჩემს შვილებთან ურთიერთობას რომ უყურებდა, მეუბნებოდა ხოლმე, ნეტა მამაშენიც ასეთი ყოფილიყოო.

მატერიალურად ძალიან გვიჭირდა. სკოლაში ვერ მივდიოდით, ფეხზე ჩასაცმელი არ გვქონდა. ჩემი უფროსი და რუსეთში წავიდა, გათხოვდა და დღემდე იქ ცხოვრობს. ერთი ძმა 14 წლის ასაკში სისხლის გათეთრებით გარდამეცვალა, მეორე კი, მომიკლეს – ბაბუაჩემის ბიძაშვილმა ქუჩაში მოკლა. მაშინ მე ყანაში ვიყავი. რომ გავიგე, გამოვიქეცი და ის დანით ადგილზე მოვკალი. შური ვიძიე. ჩემი ძმის მკვლელი მოვკალი. 8 წელი მომისაჯეს. ჩემს ძმას ერთი შვილი დარჩა. ახლა ის და დედამისი ჩემი ძმის სახლში ცალკე ცხოვრობენ.

ჩემს დედმამიშვილებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და მაქვს. მეხმარებიან მატერიალურადაც. ჩემი და სახლის ყიდვაში დამეხმარა, მე რომ ციხეში ვიყავი, ჩემს ოჯახს ეხმარებოდა, ახლაც ვიღაც მირიცხავს თანხას, ჩემი და იქნება, სხვა არავინ გააკეთებდა ამას.

სკოლა მიყვარდა და ძალიან კარგი ნიშნებიც მქონდა. მე-8 კლასიდან მომიწია სკოლიდან გამოსვლა. ფეხსაცმელი არ მქონდა და ამის გამო სკოლაში ხშირად ვერ მივდიოდი. მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ სხვაზე ნაკლები რომ გაცვია, გრცხვენია. მუშაობა დავიწყე. ზოოტექნიკუმში ჩავაბარე, შემდეგ ზოოვეტის ინსტიტუტში გავაგრძელე სწავლა. მინდოდა, რამე მეკეთებინა, ჩემი შემოსავალი მქონოდა. მერე ჯარში წავედი. საქონელი მყავდა და მეცხოველეობა მიზიდავდა. ახლა ხელოსანი ვარ, „მალიარი“. პერიოდულად, სადაც სამსახური გამოჩნდებოდა, იქ ვმუშაობდი. მომწონდა, რასაც ვაკეთებდი, განსაკუთრებით „მალიარობა“. ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ სამუშაო სეზონურია.

სკოლაში პირველი კლასიდან მიყვარდა გოგო. არ მოვიყვანე ცოლად, მე თვითონ ვუთხარი უარი. ცოლის მოყვანის ინტერესი არ მქონდა. ახლა ვნანობ მასთან დაშორებას. ჩემი მეუღლე გამირიგეს და 32 წლის ასაკში დავოჯახდი. ცოლის მოყვანა არ მინდოდა, მაგრამ დედამ მთხოვა. მამა ცოცხალი აღარ იყო ამ დროს. გარიგებით მოვიყვანე ცოლად, უსიყვარულოდ. ურთიერთობა და შეყვარებულობის პერიოდი არც გვქონია. ბიცოლაჩემმა ჩემსავე სახლში გამაცნო.

16 წელი ვცხოვრობდით ერთად. არაფრის გაკეთება არ იცოდა, ვერ აკეთებდა, მაგრამ ოთხი შვილი მაჩუქა. სამი გოგო და ერთი ბიჭი. ყველაფერს ვუკეთებდი, არაფერს ვაკლებდი.

პირველად ციხიდან რომ გამოვედი, ყველამ მითხრა შენნაირი ცოლი არავის ჰყავსო. ბავშვებს უვლიდა და სულ კარგად იქცეოდა. სიდედრი არ მიყვარდა, სულ ჩვენს საქმეში ერეოდა და ურევდა ყველაფერს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი ცოლის გამო, დედამისთან ახლოს სახლი ვიყიდე. სულ მასთან უნდოდა და ახლოს იქნებიან-თქო ვიფიქრე.

ჩემს სიდედრს უნდოდა, რომ ჩვენთან ეცხოვრა, თავის 2 ავადმყოფ შვილთან ერთად. ერთხელ რომ მოვედი, სახლში დამხვდა და შელაპარაკება მოგვივიდა. სახლიდან გავაგდე. ჩემი ცოლი გაბრაზდა და ისიც გაჰყვა. ასე მიდიოდა ხოლმე და უკან აღარ მოდიოდა. მაშინ რომ წავიდა, 1 წელი დედამისთან ცხოვრობდა. ბავშვები მე მყავდა. უფროსებზე არა, მაგრამ პატარებზე დიდი ამაგი მაქვს. დედა მეხმარებოდა გაზრდაში. შემდეგ ჩემმა ცოლმა თბილისში დაიწყო სიარული, მუშაობდა რაღაცაზე. მერე ნათესავებმა მითხრეს შეურიგდიო და მეც შევურიგდი. მაშინ დავუშვი შეცდომა. კი დაბრუნდა ერთი წლის მერე, მაგრამ მე ეჭვი ავიღე. ერთხელ ეზოში იყო, მივაყურადე, უცნაურად ლაპარაკობდა, ამიტომ სმს ჩუმად წავიკითხე და მაშინ გავიგე, რომ ვიღაც ჰყავდა. ცემა გადავწყვიტე. უფროს გოგოს ბავშვები ავაყვანინე მეორე სართულზე, მე სკამი დავშალე და სკამის ფეხით ვცემე, თან ძალიან.

სანამ დარეკავდნენ, თვითონ წავედი პოლიციაში. ჩემმა ცოლმა პოლიციაში არ თქვა, რომ ვცემე, თქვა, რომ კიბეზე დაგორდა. გიჟი არ არის?! შემაკავებელი ორდერი გამომინერეს.

ძალიან ნაცემი იყო, თუმცა, საავადმყოფოში არ წავიდა, უარი თქვა. სასამართლოზე თქვა, ფეხი დამიცდა კიბეზეო. არ აღიარა, რომ ვცემე. ვამბობდი, მე ვცემე-მეთქი და თვითონ ასე რატომ თქვა, არ ვიცი.

ყოფილი მეუღლე სახლიდან წასვლის შემდეგ მთხოვდა ბავშვების ნახვას, მაგრამ მე არ ვაჩვენებდი. ბავშვების ნახვის მიზნით, რამდენჯერმე საპატრულო პოლიციაც გამოიძახა, თუმცა, ამის მიუხედავად,, ბავშვები არ გავატანე. გაციებულები იყვნენ და რადგან დედამისთან ნორმალური პირობები არ ჰქონდათ, უარი ვთქვი. მეოთხედ რომ მოვიდა პატრული, იძულებული გავხდი, გამეტანებინა. მიიჩნიეს, რომ 3-4 წლის ბავშვებს დედა უფრო სჭირდებათ. ძალიან გავბრაზდი. იმავე საღამოს საპატრულო პოლიცია მოვიდა და დამაკავეს ქალიშვილის ცემის ბრალდებით. არადა, უფროს შვილებს მხოლოდ ის ვუთხარი, რომ თავადაც დედასთან წასულიყვნენ და ცოტა ხანს იქ ეცხოვრათ.

ჩემს ოჯახთან ურთიერთობა არ მაქვს, აქედან ვერ ვრეკავ. ვიცი, რომ ახლა ისინი ჩემს სიდედრთან, ცოლის დასთან და ცოლის ძმასთან ერთად ცხოვრობენ. არავინ მუშაობს, ყველანი გიჟები არიან.

გოჩა, 26 წლის

მშობლები და ბებია მზრდიდნენ. უფრო მეტად ჩემს აღზრდაში ჩართულები იყვნენ დედა და ბებია. ბებია ჩემთვის ყველაფერი იყო. ჩემი დაკავების გამო, ისე ინერვიულა, სამ დღეში გარდაიცვალა. ვაჟკაცი ქალი იყო.

უმაღლესი განათლება არც ერთს არ ჰქონია. მამა ჯერ გამცილებლად მუშაობდა, მერე ბაზარში, მერე ხელოსანი იყო. დედა ავადმყოფი ქალია – ეპილეფსია აქვს, არასდროს უმუშავია და ამიტომ დროს ძირითადად სახლში ატარებდა. კონფლიქტი დედ-მამას შორის მხოლოდ სიტყვიერი

შელაპარაკების დონეზე იყო. მთავარი პრობლემა ის გახლდათ, რომ მატერიალურად სულ გვიჭირდა.

უმცროსი და მყავს, არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ჩემი ძმაკაცია. ისეთ წერილებს მწერს, გაგიჟდები, რომ წაიკითხო.

ბავშვობაში მამა მკაცრად მექცეოდა. დედა უფრო რბილი ქალი იყო. კარგი საქციელის გამო, ფულით მასაჩუქრებდნენ ან რაიმეს ყიდულობდნენ. მშობლები ჩემი დის მიმართ ყოველთვის უფრო მეტ სითბოს გამოხატავდნენ. პატარა იყო, თან გოგო. მე ამაზე გართულება არასდროს მქონია. მამა ჩემთვის ყოველთვის ავტორიტეტი იყო, მასავით მშრომელი მინდოდა ვყოფილიყავი.

საშუალო სკოლა დავამთავრე. ძალიან მიყვარდა ჩემი კლასელები. ლიდერი ვიყავი კლასში. რამე თუ ხდებოდა სკოლაში, მიზეზი მე ვიყავი. დაწყებითებში კარგად ვსწავლობდი. ბევრი მეგობარი მყავდა. თუმცა, როგორც ყველა, ხანდახან მეც ვჩხუბობდი. მაღალ კლასებში ავურიე, შეყვარებული ვიყავი, ათასი საქმე გამიჩნდა.

სკოლა დავამთავრე თუ არა, ცოლი მოვიყვანე. დედაჩემის სოფელში მეგობართან სტუმრად ერთი გოგო ჩამოდიოდა ხოლმე, რომელიც შემიყვარდა და მოვიტაცე. რუსეთის მოქალაქე იყო და ხელი ვერ მოვაწერეთ. ჯერ ჩემს ოჯახთან ერთად ვცხოვრობდით, მერე ქირით გადავედით. გვიჭირდა. მისი მშობლები შეძლებულები არიან და უნდოდათ საცხოვრებლად მათთან გადავსულიყავით. მე არ მინდოდა, ისინი რომ დამხმარებოდნენ. მსურდა, ჩემით გამეკვალა ცხოვრება. თან აქ მშობლებს და ბებიას მარტო ვერ დავტოვებდი. მხოლოდ იქ გადასვლის გამო ვკამათობდით. ხმას ხშირად ვუწევდი, მაგრამ არასდროს შემიგინებია. ცოტა ეჭვიანიც იყო. ვუთხარი, თუ გინდა წასვლა, წადი, მაგრამ თუ წახვალ ვეღარ ჩამოხვალ-მეთქი. წავიდა, თუმცა, შემდეგ დაბრუნდა და შერიგება მთხოვა. მე კატეგორიულ უარზე ვიყავი, ვერ ვაპატიე წასვლა. ძალიან ვნანობ. მასთან განშორების შემდეგ დეპრესია მქონდა.

ახლა ის საქართველოს ფარგლებს გარეთ, თავის მშობლებთან ცხოვრობს. სალონი და თავისი ბიზნესი აქვს. 7 წლის ქალიშვილი გვყავს. გათხოვებით არ გათხოვილა, ვერ გაბედავს, თან ისევ ვუყვარვარ. მირეკავს, ჩემზე ნერვიულობს, ფულსაც მიგზავნის. ახლა პაემანზე უნდა ჩამოვიდნენ.

პირველად რომ დამიჭირეს, ჯარში ვმსახურობდი. შვილი შემეძინა და უფროსმა არ გამიშვა. ნასვამი ვიყავი, ვიჩხუბე და სოფელში წავედი. თუმცა ჩხუბის გამო არ დავუჭერივარ. სამსახურის თვითნებურად მიტოვებისთვის დამაპატიმრეს.

მეორედ, მამასთან კონფლიქტის გამო მოვხვდი ციხეში. დღესასწაულის მეორე დღეს ოჯახში მეგობარი მოვიყვანე. სუფრას მივუსხედით და სმა დავიწყეთ. მამამ შემაგინა. მეგობართან „გამიტყდა“ და ფიზიკურად შევეხე. დედა და დაც სახლში იყვნენ. მამას წნევამ აუწია და სასწრაფო გამოიძახეს, სასწრაფომ – პატრული. სამი თვე ვიჯექი ციხეში.

ციხიდან რომ გამოვედი, 2 თვეში ისევ მამასთან მემკვიდრეობის გამო მომივიდა კონფლიქტი. ჩვენი სახლის მეორე სართული, რომელიც მე მინდოდა, მამამ ქალიშვილს მისცა. „სიძეს უფრო სწყალობენ“. შევლაპარაკდით. მაშინაც ნასვამი ვიყავი და არ მახსოვს, დავარტყი თუ არა. მგონი კი. მეზობლებმა პატრული გამოიძახეს. მაშინვე არ დამაპატიმრეს. გამიშვეს და მითხრეს, რომ არსად წავსულიყავი, მე კი თურქეთში სამსახური გამომიჩნდა და წავედი. საზღვარზევე დამაკავეს.

მამასთან კონფლიქტისას ორჯერვე ნასვამი ვიყავი და იმპულსურად ვმოქმედებდი. ალკოჰოლის ზემოქმედება რომ არა, ფიზიკურ შეხებას ადგილი არ ექნებოდა. პირველი დაკავების დროსაც ნასვამი ვიყავი და უფროსს ვეჩხუბე. ყველა შემთხვევის დროს მიზეზი მქონდა. ეს არ არის ძალადობა. თუ არ გამაბრაზეს, კარგი ხასიათი მაქვს. პროცესზე მოსამართლე იმდენი ვაცინე, კინაღამ გაგიჟდა.

ჩემები სასამართლო სხდომებსაც ესწრებოდნენ, წერილებსაც მიგზავნიან, პაემანზეც ჩამოდიან. ერთხელ მამაც იყო მოსული. მამა ნანობს თავის საქციელს. რა თქმა უნდა, მეც ვნანობ.

გრიშა 63 წლის

ჩემი მშობლები სანამ დაქორწინდებოდნენ, ორივეს ცალ-ცალკე ოჯახი ჰყავდა. ბებია-ბაბუა ჩვენ გვერდით ცხოვრობდნენ, ასე რომ, ისინიც მონაწილეობდნენ ჩემს აღზრდაში. თუმცა, ძირითადად დედაჩემის შვილის, ანუ ჩემი გერი დის გაზრდილი ვარ.

დედა სოფელში, კოლექტივში, მუშაობდა. სულ რაღაც 4 კლასის განათლება ჰქონდა. სკოლა არც მამაჩემს დაუმთავრებია. ხელოსანი კაცი იყო, ფეხსაცმელებს კერავდა. ვენახიც გვქონდა და კარგი შემოსავალიც.

რვა და-ძმა ვიყავით. დედაჩემს და მამაჩემს ოთხი საერთო შვილი ვყავდით. თითოეულს ცალ-ცალკე კი ორ-ორი. მამას შვილები სხვა სოფელში იზრდებოდნენ. ჩემი უფროსი ღვიძლი და 23 წლის ასაკში გარდაიცვალა. ღვინის ქვევრში ბავშვი ჩაუვარდა, თვითონაც ჩახტა. ბავშვი გადარჩა, თვითონ კი დაიღუპა.

და-ძმებს კარგი ურთიერთობა გვქონდა. ერთად ვიზრდებოდით და ვეხმარებოდით ერთმანეთს. როგორც ხდება ხოლმე, ზოგჯერ ვჩხუბობდით. ბიჭებს და გოგოებს არ გვასხვავებდნენ, ოჯახს ყველა ვეხმარებოდით. ახლაც ვურეკავ, მოდიან კიდეც სანახავად, თუმცა, ყველას არ უშვებენ.

მამამ არ იცოდა გაბრაზება, დედამ – კი. ჭინჭრით და წკეპლით გვცემდა ხოლმე. სახლში არსებული წესები არ მახსოვს. ერთადერთი რაც მახსოვს, ის არის, რომ სააღდგომოდ ყველასთვის წითელ სანთლებს ყიდულობდნენ.

მეხუთე კლასამდე კარგად ვსწავლობდი. მერე ინგლისურის მასწავლებელმა სულ ტყუილად თავში კალამი ჩამარტყა. ამის მერე გაკვეთილზე აღარ შევდიოდი. სწავლაზე გული ამიცრუვდა. ჩემი ტოლი მეგობარი არ

მყოლია. უფროსკლასელებთან ურთიერთობა მერჩივნა. მეგობარი სულ სხვაა, სულ შენს გვერდითაა. ოციდან ერთი მეგობარი დამრჩა ცოცხალი. ძმაკაცები კი მყავს. ძმაკაცი არაფერი არ არის. ხელში გიყურებს. თუ ფული არ გაქვს, ისიც არ არის.

8 კლასის განათლება მაქვს. მერე სამხატვრო-სამალიაროზე ჩავაბარე, რის შემდეგაც ზეინკლობა ვისწავლე. მშენებელი კაცი ვარ, კახელი. ხელობა ვიცი. უფროსი ვიყავი, ბრიგადა მყავდა. დანგრეულ შენობებს ვყიდულობდი, ვშლიდი და მასალას ვყიდდი. აქაც სამეურნეო ნაწილში ვმუშაობ.

პირველად როცა შემიყვარდა, მშობლები ჩაერივნენ, გასაქანი არ მომცეს, არ უნდოდათ ის გოგო. თუმცა, ჩვენი ერთად ყოფნა არც გოგოს მშობლებს სურდათ.

მერე სხვა გავიცანი, ბალღი იყო. სიყვარულით არ მიყვარდა. კარგი ოჯახის შვილიაო მეუბნებოდნენ და მეც თავში მიქროდა. გარეგნობითაც მომეწონა. თბილი იყო, მზრუნველი. ორჯერ ვნახე და მესამედ – მოვიტაცე. ჩავსვი მანქანაში და მეგობართან ერთად წავიყვანე. ეგონა რთველში მივდიოდით... მშობლები არ მიჩიოდნენ, სკოლა რეაგირებდა. დირექტორს შევუვარდი, შენს შვილებს მოუარე-მეთქი, ვუთხარი.

სიდედრისგან და სიმამრისგან ღობე გვყოფდა. სიმამრის სიმამრმა მაჩუქა სახლი. ცოტა ხანი იქ ვცხოვრობდით და მერე ქალაქში გადავედით.

სიდედრი „აჩმახებდა“. სულ ერეოდა ჩვენს საქმეში. ერთხელ პოლიციაში მიჩივლა. უფროსმა ვენახის შესაწამლად ქიმიკატები მომცა, სიდედრმა კი იფიქრა, მოიპარაო და მიჩივლა. მაგის მერე წიხლი ვკარი. დაიმსახურა. სიმამრს არაფერი უთქვამს, იმიტომ, რომ იცოდა, ღირსი იყო. მერე პოლიციაში წავიდა, სახე გაიკაწრა, ვითომ მე ჩავარტყი.

ერთხელ ჩვენთან სტუმრად იყო. იმ დღეს მეგობრებთან ერთად ვიქეიფე და ნასვამი ვიყავი. სახლში მისულმა სასმელი ვითხოვე. არ მაქვსო, მიპასუხა. მივხვდი რომ ჰქონდა. წყევლა დამიწყო და მე სახლიდან გავაგდე.

ორი შვილი მყავს. გოგო და ბიჭი. ბიჭი რუსეთშია. ჩემს ბიჭს ცხრა თვეში ორი ჩვილი მოუკვდა. ჩემი ქალი კი ლამაზად ჩაიცვამდა და დადიოდა. შეიძლება ვიღაცებს ეპრანჭებოდა კიდეც. ჩემი რძალი კი, სიცივეში იჯდა და ამიტომაც მოუკვდა შვილები. ახლა 3 თვის შვილი ჰყავს. ჯერჯერობით ჩემს რძალსა და ბიჭს კარგი ურთიერთობა აქვთ.

გოგო 14 თუ 15 წლის იყო რომ გამეპარა. დედამ ძალით გაათხოვა. უჩემოდ გაათხოვა. ჩემ გოგოს არ უყვარდა, დავიჭირე, ვცემე ის ბიჭი და გავაქციე. მერე მისი მშობლები მოვიდნენ. რადგან ჩემი გოგო მეუბნებოდა, არ მიყვარსო, მაძალებსო, არ გავატანე. ღამე მაინც იმ ბიჭთან ერთად გაიპარა. გამოვეკიდე მანქანით. ვერ დავეწიე, მაგრამ ბიჭის მშობლები ვნახე და ვცემე.

ჩემი გოგო ქმარს რომ გასცილდა, სახლში არ შემოვუშვი. სად წავიდა? სად და ჯანდაბაში! არ ვიცი! იცოდა, რომ არ უნდა მოსულიყო. ხან

ბიძასთან ეგდო და ხან სად. არ მაინტერესებდა. მისი ოჯახი არ დადიოდა ჩვენთან. ერთხელ არ მოსულან, რომ დავმსხდარიყავით და გვექეიფა. ახლა გოგო მეორე ქმართან ერთად ცხოვრობს. ამ ქმარს არ ვიცნობ. საავადმყოფოში რომ ვიწექი, ჩემი ქალი მანქანით იმან მოიყვანა. ხელი ჩამოვართვი, ეგ იყო და ეგ. გოგოს 6 თვის წინ შევურიგდი. ჩემ სანახავად არ მოსულა. ხან ბალღებიო, ხან ისო, ხან ესო.

ცოლის მკვლელობისთვის ვიხდი სასჯელს. არ უნდა მოეცათ ამდენი. ლოთი ვიყავი, იცოდნენ. სოფელში ყველა სვამს. მეც ვსვამდი და მერე რაღაცები მეჩვენებოდა. რადგან სიმთვრალეში კარგი ხასიათი მაქვს, დალიეო, ჩემი ქალი სულ ამას მეუბნებოდა.

ქალაქში რომ გაძნელდა მუშაობა, ვიფიქრე, დავბრუნდები სოფელში, ჩემთვის „ვიკუკუნებ-მეთქი“. ვიფიქრე ცოლ-შვილი გამომყვებოდა. შევცდი. ჩემს ქალს სოფლელობა აღარ უნდოდა, ქალაქი მოსწონდა. ფული უნდოდა და შეიძლება სხვა კაციც. მარტომ დავიწყე ცხოვრება. საჭმელს არ ვჭამდი, უძილობა დამეწყო, მარტო არაყს ვსვამდი და ვლოთობდი. ეჭვიანი არ ვარ, მაგრამ მასზე ვეჭვიანობდი. ფაქტები მქონდა. ლაპარაკში გამოვიჭერდი ხოლმე. ოჯახში რომ მივდიოდი, სახლში არ ჩერდებოდა, სად იყო აბა? მე შვილების სანახავად მივდიოდი, ის კი გარბოდა. მე რომ მომკლა, შენ ციხეში წახვალო, მეუბნებოდა. სულ ვფრთხილობდი, მეშინოდა, არ შემომაკვდეს-მეთქი და მართლა ასე არ მოხდა?! ფიზიკური აგრესია არ მქონია. თმის მოქაჩვა, ხელის კვრა, ასეთი რაღაც არ მიყვარდა. ვაგინებდი ხოლმე. კახეთში მოსულა გინება. ზოგი მეზობლის ცოლს აგინებს, საკუთარს კი არა. ცემით არ ვცემდი. გაყრის საბუთი რომ მაჩვენა, მაშინ კი ვცემე. უჩემოდ გააკეთა განქორწინება. ურთიერთობის გაწყვეტა თვითონ გადაწყვიტა.

ჩვენი განშორების შემდეგ, ფული რომ დასჭირდებოდა, ისევ ჩემთან მოდიოდა. მეზობლებთან გადავიდოდა, ყავას დალევდა. იქ უთხრეს ჩემზე, ვიღაც გაიცნო და მოეწონაო. ერთხელ დილით ყავა მომიდუღა და დამალევინა. ამის შემდეგ ქალებისადმი ინტერესი დავკარგე. ქალები თვითონ მეუბნებოდნენ, დავქორწინდეთო. არ მჭირდება-მეთქი – ვეუბნებოდი. რა დამალევინა ასეთი, არ ვიცი.

მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე მისი დედა დავმარხეთ. კუბო მე ვუყიდე. 150 ლარსაც ვაძლევდი. იმ დღეს რომ მივედი, ხელი მკრა, წადი აქედანო, გალოთებული ხარო და „გამოსირებულიო“. მე ფხიზელი უფრო ნერვიული ვარ, ვიდრე ნასვამი. ნეტა მაშინ ორი ჭიქა დამელია. კბილები არ მაქვს და პურის საჭმელად დანას ვიყენებდი. გასვენებისას ეს ჩემი დანა იმათ სახლში ტელევიზორის სადგომ მაგიდაზე დამრჩენია. დანა იქ რომ არ ყოფილიყო, ხომ არაფერი მოხდებოდა? ხელი რომ მკრა წადიო, ავდექი და დანა ავიღე. როგორ, რომელი ხელით დავარტყი, არაფერი მახსოვს. იცი რა მახსოვს? მივდიოდი, დანა ხელში მეჭირა და სისხლიანი არ იყო. ჩემს დასთან ჩავედი, სახლში მხოლოდ დიშვილები დამხვდნენ. ვუთხარი, ცოლთან ჩხუბი მომივიდა და წადით, ნახეთ, რა ხდება-თქო.

პოლიცია რომ მოვიდა, მაგ დროს ბიჭთან ტელეფონზე ვსაუბრობდი. აზრზე არ ვარ, გამომძიებელმა რა ქნა, რა დაწერა. მარტო ის ვნახე, ჩემი სიძე ამბობდა, შესარიგებლად მოვიდა, ცოლი კი არ ურიგდებოდა, გაბრაზდა და დაარტყაო. შეურაცხყოფა მომაყენა, დამცინა, გამლანძღა და გამოვედი წყობიდან. მომჩივანი არავინ მყავდა. შეეძლოთ, შვიდი წელი მოეცათ. ქვეყანამ იცის, ვინ ვარ. მე დანაშაული არ მიმიძღვის. მარტო ღმერთთან ვარ პასუხისმგებელი. ამიტომაც ვისჯები.

აქ რომ შემოვედი, ვფიქრობდი, რომ თავი მომეკლა. საკანში თავის მოკვლა ადვილია. თავს მაშინაც ვიკლავდი, როცა ვლოთობდი. ციხეში მუშაობამ გადამარჩინა.

ხანდახან სინანულს ვგრძნობ, ხან ვიტყვი, აქამდე უნდა მომეკლა-მეთქი. საკუთარ თავზე ვბრაზდები, რატომ მოვკალი, აქ რატომ ვარ.

ერთი კვირა ფსიქიატრიულში ვიწექი. ბავშვობაში არ მახსოვს, ეს პრობლემები რომ მქონოდეს. უვარგისი გამოვდექი, ძალიან გავფუჭდი. თავის მოკვლასაც კი ვაპირებდი.

დათო, 28 წლის

მშობლებმა გამზარდეს. დედა დიასახლისი იყო, მამა ტაქსის მძღოლი. თბილი, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. შემეძლო მათთვის მომეყოლა ჩემი პრობლემები რასაც ისინი ყოველთვის გაგებით ეკიდებოდნენ. მყავს და-ძმა, რომლებთანაც შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. გოგოებს და ბიჭებს ერთმანეთისგან არ გვასხვავებდნენ. არაფერში არ გვთხოვდნენ დახმარებას. დედა ყველაფერს თვითონ აკეთებდა. ცუდად თუ მოვიქცეოდით, სიმკაცრეს იჩენდნენ. კარგი ქცევისთვის ზოოპარკში მივყავდით.

ჩემს ოჯახთან სატელეფონო კავშირი მაქვს. პაემნებს შეგნებულად არ ვგეგმავ. არ მინდა, აქ რომ მოვიდნენ, ცუდად მოქმედებს ჩემზე.

საშუალო განათლება მაქვს. კარგად ვსწავლობდი, ბავშვებთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ მაინც არ მომწონდა სკოლაში სიარული, რა არის სკოლაში მოსაწონი? ყოველდღე ვჩხუბობდი და ამიტომაც დირექციასთან მუდმივად პრობლემები მქონდა. ბავშვობაში ყველა შენი მეგობარი გგონია, მერე ახდენ გადარჩევას. ახლა ორი მეგობარი მყავს.

სკოლის დამთავრების შემდეგ კარგა ხანი არაფერს ვაკეთებდი. მერე ექვსი წელი ერთ ფირმაში სანტექნიკად ვმუშაობდი. შიგადაშიგ თურქეთში მივდიოდი სამუშაოდ. ფინანსურად კარგად ვიყავით.

დაოჯახებული ვიყავი. ერთი ბიჭი მყავს. ხუთი თვეა ისინი არ მინახავს, სად ცხოვრობენ არ ვიცი. ბავშვზე ალბათ დედამისი ზრუნავს.

28 წლის ვარ და სამჯერ მქონდა სერიოზული ურთიერთობა. ორი – ზუსტად არ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა, მესამესთან 10 წელი ვცხოვრობდი და ცხრა წლის შვილი მყავს. ჩემს ახლობელს სკოლაში მივაკითხე, ისიც ეზოში იდგა, გამოველაპარაკე და გავიცანი. მასში ყველაფერი მომწონდა. მამაჩემი, ჩემი ცოლი და შვილი ერთად ვცხოვრობ-

დით. დედაჩემი საზღვარგარეთ არის წასული, იქ მუშაობს. იმ ორთან ურთიერთობა მე გავწყვიტე. ამჯერად კი, ჩემმა ცოლმა დააჭერინა ჩემი თავი და დავშორდი კიდეც. სურვილიც კი არ მაქვს მასთან შერიგების. კონფლიქტამდე მე და ჩემს ცოლს იდეალური ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ მისმა ასეთმა საქციელმა, ყველაფერი, რაც კარგი იყო, გადაფარა. ერთ დღეს ბავშვი მაღაზიაში წავიყვანე, იქ დაეცა და ვუსაყვედურე. სახლში რომ მივიყვანე, კიდევ ვუსაყვედურე. დედამისმა დაიცვა და ამაზე გავლიზიანდი. ბავშვს ხელი გავარტყი და სახლიდან წავედი. საღამოს 10 საათზე პატრულმა დამაკავა... ჩემს ცოლს თავისი მეგობრისთვის მოუყოლია, იმან კი საპატრულოში დარეკა. საერთოდ არ ვარ დამნაშავე, ტყუილად ჩამსვეს ციხეში. ძალადობაა ეს? თუმცა, მამაჩემს ჩემთვის რომ დაერტყა, ხელს შევუბრუნებდი. ჩემს შვილს რომ იგივე გაებედა, უარესს ვუზამდი. თუმცა, მე ჩემს შვილს როგორც მინდა, ისე გავზრდი.

მეუღლეს ვღალატობდი, ალბათ ამის გამო ეჭვიანობდა კიდეც. ჩვენს კონფლიქტში არავინ არასდროს ჩარეულა, მაგას ვინ გაბედავდა? ჩემს ოჯახში რა უნდა პოლიციას და მეზობელს?

ეჭვიანი კი ვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არ მღალატობდა. ვერც გაბედავდა. ახლა რას აკეთებს, არც მაინტერესებს.

ელიზბარი 51 წლის

დევნილები ვართ. მშობლებმა მე და ჩემი 4 ძმა გაჭირვებაში, ერთმანეთის ტანსაცმელში გაგვზარდეს. მამა კოლმეურნეობაში მუშაობდა, დედა დიასახლისი იყო. დედას და მამას სულ უთანხმოება ჰქონდათ. მამა ღალატობდა, მთელი ცხოვრება საყვარლები ჰყავდა. სულ ჩხუბობდნენ. ხელითაც შეხებიან ერთმანეთს. ამის გამო სახლში მისვლა აღარ მინდოდა. როგორია, როდესაც სულ ჩხუბის მოლოდინში ხარ?

მთიან სოფელში ვცხოვრობდით, სულ რაღაც იყო გასაკეთებელი. მე-4 კლასიდან ვშრომობდი, ძმები არაფერს ვერიდებოდით – თიბვა, საქონელი... მამა გვეუბნებოდა, რა უნდა გვეკეთებინა და ჩვენც ვაკეთებდით.

მკაცრი მშობლები გვყავდა. ახლა მეღიმება, მაგრამ სხვა გზა რომ არ ჰქონდათ შრომით გვსჯიდნენ. ჩვენ თამაში გვინდოდა, სწავლა, თუმცა, უარის თქმას ვერ ვბედავდით. განსაკუთრებით მამას ვერ ვუწევდით წინააღმდეგობას, დედას კი ხანდახან ვეტყოდით ხოლმე რაღაცებს, შევეპასუხებოდით. ძმები ერთ მუშტად ვიყავით შეკრული, ურთიერთპატივისცემის გრძნობა გვქონდა. ერთმანეთისთვის ისიც კი არ გვითქვამს არასდროს, შენ წინ ხარ და უკან დადექიო. ჩემი ტყუპისცალი ქურდობაზე დაიჭირეს. ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა, გვერდში ვედექით ერთმანეთს. ახლა იშვიათად ვურეკავთ, ყველას თავისი გასაჭირი აქვს, ან ერთმანეთს რა უნდა ვუთხრათ.

სკოლის პერიოდი ძალიან ცუდად მახსენდება, განსაკუთრებით – ზამთარი. მომწონდა თუ არ მომწონდა, უნდა ავმდგარიყავი და წავსულიყავი.

დიდი გზა იყო სკოლამდე. დილას 5 საათზე უნდა ამდგარიყავი და 7კმ უნდა გამევლო ფეხით.

საშუალოდ ვსწავლობდი. მეგობრებთან კარგი ურთიერთობა მქონდა. იშვიათად ვჩხუბობდი.

მერე ჯარი რუსეთში გავიარე. უკან დაბრუნებულმა ქარხანაში დავიწყე მუშაობა და სანამ საქართველოში არეულობა დაიწყებოდა, იქ ვიმუშავე. მერე ისევ სოფელში დავბრუნდი. თან მშობლები მოხუცები იყვნენ და ვიფიქრე, მივხედავ-მეთქი. 17 სული საქონელი მყავდა, 50 ფუტკარი, ცხვარი და ხილის ბაღები. 2008 წელს დავკარგეთ ყველაფერი. ომის შემდეგ ჩემი ძმები ცალკე ცხოვრობენ. ჩემ გარდა ყველა დაოჯახებულია.

ჩემს 3-4 მეგობარს შორის ერთი ჩემი შეყვარებული იყო, რომელსაც ყველაფერს ვეუბნებოდი. ბავშვობიდან მიყვარდა, მელოდებოდა, სანამ ჯარიდან ჩამოვიდოდი. მე კი მივყევი გართობას, რაც არ მაპატია და გათხოვდა. ძალიან ვნანობ, არ იყო დასაკარგი გოგო, ჭკუა არ მქონდა.

სასმელს ვერიდებოდი. როცა არ ვსვამდი, არც ვჩხუბობდი. ახალა იმიტომ ვზივარ, რომ ნასვამმა თავი ვერ გავაკონტროლე, ბავშვობაში გადატანილი მამაჩემის ღალატის სიმწარე გამახსენდა და თვალებში დამიბნელდა.

მე და ჩემმა ძმებმა ომის მერე ცალკე ბინები ავიღეთ. ერთ-ერთი ძმის მეუღლემ მაღაზია გახსნა და ზაფხულობით ჩამოდიოდა ხოლმე. ხანდახან ბავშვიც ჩამოჰყავდა.

ერთ საღამოს, ღამე, პირველი საათი იქნებოდა, როცა ჩემმა ძმამ დამირეკა და მითხრა მიდი ერთი, ჩემს ცოლს უთხარი, ტელეფონი აიღოსო.

მე იმ ბინების კომენდანტი ვიყავი, სადაც ჩემი ძმა ცხოვრობდა. ბევრი გასაღები მქონდა და ყველა სულ თან დამქონდა. კიბეზე რომ ავდიოდი, ჩემი რძალი ალბათ გასაღების ხმაზე მიხვდა რომ მე ვიყავი და შეშინებული გამოვიდა. ამ დროს ვიღაც კაცი გამოვარდა, გაიქცა და ტყეში შევარდა. ვერ დავეწიე. რომ ამოვბრუნდი, რძალთან კამათი დავიწყე, მან კი მითხრა, გაჩერდი ახლა ნურაფერს იტყვი, შენს ძმას მაინც უნდა დავშორდე და შენს ჩხუბს აზრი არა აქვსო. მეც ვუპასუხე, რომ თუ ჩემს ძმას ამას უკეთებ, მაშინ ვერც ვერავისთან იქნები-მეთქი. ცოტა ნასვამი ვიყავი, ერთი ჭიქა ლუდი მქონდა დალეული. ჩემი მშობლები მამაჩემის ღალატის გამო სულ ჩხუბობდნენ. სულ გვეშინოდა და თან სულ მრცხვენოდა მამის გამო, მისი ღალატის გამო. მეზიზღებოდა ღალატი და ისევ ამის შემსწრე რომ გავხდი, დამარტყა თავში, გავგიჟდი, ვერ მოვითმინე. როგორ და რანაირად გავაკეთე არც მახსოვს, არ ვიცი. ფაქტია, მაცივარზე დანა იდო და ის ავიღე და ჩავარტყი. მერე გამოვედი, ბნელოდა. ვიბოდიალე. გათიშული ვიყავი, არც ვიცოდი, რას ვაკეთებდი. არ დამირეკავს არსად, არც სასწრაფოში. მერე პოლიციაში მივედი და ჩავბარდი.

გამართლება არ აქვს. 34 წლის იყო ჩემი რძალი. ნეტავ თან ჰყოლოდა შვილი, ხომ აღარ მოხდებოდა ეს, ბავშვი დარჩა უდედოდ. დედა მოვუკალი, რაც უნდა ყოფილიყო, იმის დედა ხომ იყო, ვნანობ, არ ვიცი, რა

მინდოდა, რა ჩემი საქმე იყო. ბავშვი გავაუბედურე, დედა წავართვი. რა ვუთხრა, ან ვნახავ ოდესმე?

ემზარი 22 წლის

მე და ჩემს უმცროს ძმას დედ-მამა გვზრდიდა. სოფელში ვცხოვრობდით. დედა დიასახლისი იყო, მამა მუდმივად მშენებლობებზე მუშაობდა. მამა ჩემთვის ავტორიტეტი იყო, დედა უფრო თავშესაფარი. მშობლებს არასდროს დავხმარებივარ, ოჯახში არანაირ საქმეს არ ვაკეთებდი. ძმასთან იდეალური ურთიერთობა მქონდა და დღემდე ასეა. როდესაც ცუდ საქციელს ჩავიდენდი, მშობლები მსაყვედურობდნენ, თუმცა, მიხსნიდნენ, ეს საქციელი ცუდი რატომ იყო. დედის მხრიდან სულ რამდენჯერმე მახსოვს ფიზიკური დასჯა, ისიც უმნიშვნელო. იშვიათად, მაგრამ ვყოფილვარ ოჯახში მომხდარი ძალადობის მომსწრე. როდესაც მამაჩემი ძალიან გაბრაზებული იყო, ხელითაც შეჰხებია დედაჩემს, მაგალითად, ხელი გაურტყამს.

ჩემ მიმართ მშობლები სიმკაცრით არ გამოირჩეოდნენ, თუმცა, მახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც ერთი კვირით არ წავედი სკოლაში. როდესაც დედამ ეს ამბავი გაიგო, ფიზიკურად დამსაჯა. ძმასთან ბავშვობიდან კარგი ურთიერთობა მქონდა, მე სულ ერთი წლით ვარ უფროსი და ჩვენ საერთო სამეგობრო წრეც გვყავდა, თუმცა, ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სიმართლე არც მან იცის. მასთან საუბარისას არასდროს მიღიარებია ჩადენილი დანაშაული.

ათი კლასის განათლება მაქვს. მეათე კლასი ციხეში დავამთავრე. სკოლაში კარგი სწავლით არ გამოვირჩეოდი და საშუალოზე დაბალ ქულებს ვიღებდი. სკოლის პერიოდში ბევრ ბავშვთან ვმეგობრობდი, თუმცა, მყავდა ხუთი ახლო ძმაკაცი.

„მოჩხუბარი“ არასდროს ვყოფილვარ, თუმცა, წვრილ-წვრილი ჩხუბები მაინც მომდიოდა. ყოველთვის ვცდილობდი, მასწავლებლებთან კარგი ურთიერთობა მქონოდა. ბავშვობიდან დავდიოდი სპორტზე და, ამ კუთხით, საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მივაღწიე. მეტიც, ციხეში რომ არ მოვხვედრილიყავი, კარიერის გასაგრძელებლად მალე საზღვარგარეთ უნდა წავსულიყავი.

იმპულსური ხასიათი მაქვს, თუმცა, ადვილად აღარ ვბრაზდები. ვცდილობ, საკუთარი თავის კონტროლი ვისწავლო.

16 წლის ვიყავი, როდესაც გამასამართლეს. იმ პერიოდში უკვე ჩემს კლასელზე ვიყავი შეყვარებული. მან ჩემი გრძნობების შესახებ იცოდა და თვითონაც სიყვარულით მპასუხობდა. მასთან ფიზიკური სიახლოვე არ მქონია. როგორც სხვა გოგოებს, მასაც საუბრით ვხიბლავდი, ოღონდ სხვებისგან განსხვავებით, სხვადასხვა დღესასწაულზე საჩუქრებს ვჩუქნიდი. ჩვენი ურთიერთობის შესახებ ბევრმა არც კი იცოდა.

პარალელურად, მყავდა თექვსმეტი წლის გოგო, რომელთანაც ინტიმური კავშირი მქონდა. ჩვენი ურთიერთობა მესიჯებით დაიწყო. სამი თვის

განმავლობაში პერიოდულად ერთმანეთს ვხვდებოდით. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს ჩემმა პარტნიორმა მომიყვა თავისი თანაკლასელი გოგონას შესახებ, რომელსაც ქეიფზე ცეკვისას თანასოფლელმა 50 წლამდე მამაკაცმა კაბის ბრეტელი გაუხსნა. გოგოს შერცხვა და გარეთ გავიდა, მამაკაცი თან გაჰყვა, სადაც გარკვეულ იძულებას ჰქონდა ადგილი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მეგობართან ერთად ლუდი დავლიე და მას რომ დავემშვიდობე, გადავწყვიტე, ჩემი პარტნიორისთვის სოფელში ჩამეკითხებინა. ადგილზე ჩასულმა ჩემი მეგობარი გოგონა საკუთარი თვალით ვნახე იმ მამაკაცთან, რომელზეც რამდენიმე დღის წინ ასე აღელვებით მიყვებოდა. იმ დროს ზუსტად ვერ გავაანალიზე ის ფაქტი, რომ გოგოს, შესაძლებელია, მამაკაცთან ურთიერთობა არ სურდა და ამას ძალადობრივი ხასიათი ჰქონოდა. იქიდან ისე წამოვედი, რომ ჩემი იქ ყოფნის შესახებ ვერავინ გაიგო. მას შემდეგ ვცდილობდი, მისგან თავი შორს დამეჭირა და თითქმის აღარ ვწერდი.

ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე მეგობრებთან ერთად ლუდი დავლიე. ზუსტად ვერ ვიხსენებ თვითონ მომწერა თუ პირიქით, ფაქტია, რომ შეხვედრაზე შევთანხმდით. ზოგადად, დანები ძალიან მიყვარდა და მათ ბავშვობიდან ვაგროვებდი. დაბადების დღეებზე დანებს ხშირად ვიღებდი საჩუქრად და დიდი კოლექცია მაქვს, თუმცა, თან არასდროს დამქონდა. იმ დღეს დანა რატომ მქონდა, არ მახსოვს.

გოგო რაღაცის ახსნას ცდილობდა, როდესაც მე მას დანა დავარტყი. არ მახსოვს – რამდენჯერ, შეიძლება ერთხელ, ან ორჯერ. არც იმისთვის მიმიქცევია ყურადღება, გოგონა უკვე გარდაცვლილი იყო, თუ – არა. მას შემდეგ ბევრჯერ ვცადე ამ დღის გახსენება, თუმცა, უშედეგოდ. არც ის მახსოვს დანა როდის და რატომ ჩავიდე ჯიბეში.

იშვიათად ვსვამდი, ისიც ორ ჭიქა ლუდს. სპორტსმენი ვიყავი, დალევისგან თავი უნდა შემეკავებინა. თუმცა, ამას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ნასვამი რომ არ ვყოფილიყავი, ეს შეიძლება მაინც მომხდარიყო. ნაადრევი დასკვნები გამოვიტანე, მისთვის უნდა მომესმინა, სიტუაციაში გავრკვეულიყავი... თითქოს ეჭვიანი ადამიანი არ ვარ, მაგრამ „ფაქტია, ეჭვიანობამ მიმიყვანა ამ მდგომარეობამდე“.

მხოლოდ ის მახსოვს, რომ პირველი ჩემს უახლოეს მეგობარს მივადექი, თუმცა, გზად პოლიციაში მისვლასა და დანაშაულის აღიარებაზეც ვფიქრობდი. მეგობარს ყველაფერი ვუამბე. მან მირჩია გავჩუმებულიყავი და საზღვარგარეთ წასვლამდე არავისთვის არაფერი მეთქვა. მეც ასე მოვიქეცი.

მკვლელობიდან მესამე დღეს დაკითხვაზე დამიბარეს. დანაშაული არ ვაღიარე. დანაშაულის ჩადენიდან მერვე დღეს კი, ყველაფერი მოვყევი. ჩემმა უახლოესმა ძმაკაცმა სასამართლოზე თქვა, თითქოს ვემუქრებოდი, სიმართლე რომ არ ეთქვა. კატეგორიულად უარვყოფ ამ ფაქტს.

ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულზე არაერთგვაროვანი შეხედულებები გაჩნდა. თანასოფლელების ნაწილი თანამიგრძნობდა, ზოგი კი, ძალიან

მაკრიტიკებდა. ჩემს ოჯახს, მშობლებს, ძმას, განსაკუთრებით კი, დედას დღემდე არ სჯერათ, რომ დანაშაული ჩავიდინე. ყველაზე მეტად იმის მეშინია, დედაჩემმა არ გაიგოს სიმართლე, „ოდესმე გავბედავ კი ამის თქმას?“ და „სიმართლე რომ ვთქვა, რა შეიცვლება?“

ციხეში რომ მოვხვდი, სუიციდის ორი მცდელობაც მქონდა, თუმცა, ორჯერვე დაწესებულების თანამშრომელმა გადამარჩინა.

ციხეში ყოფნა ისეთ დროს მომიწია, ვერ შევძელი სწავლის დასრულება. სპორტისთვის უკვე ასაკში ვარ. განსაკუთრებით განვიცდი მშობლებისთვის დამალულ სიმართლეს და კითხვაზე, რას ვგეგმავ მომავალში, ერთი პასუხი მაქვს – არ ვიცი.

ზურა 45 წლის

დედ-მამასთან ვიზრდებოდი. დედა ინგლისური ენის მასწავლებელი იყო, მამა სკოლის მომარაგებაში მუშაობდა, სვამდა. ბავშვობაში ბევრჯერ ვყოფილვარ იმის შემსწრე, თუ როგორ ძალადობდა მამაჩემი დედაჩემზე. ხანდახან ისე სცემდა, სისხლებს ადენდა. დედა არ იმჩნევდა, ხალხის რცხვენოდა. მე ბავშვობიდან დედას ვიცავდი. მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემის სახლი იყო, არასდროს უფიქრია მამაჩემის გაგდება.

ჩემი ოჯახი მყავდა. 10 წელია გაშორებული ვარ. გოგო გათხოვილია, ბიჭი დედამისთან ცხოვრობს. ჩვენი დაშორების მიზეზი ჩემი სიდედრია. ჩემი ყოფილი ცოლი დედისერთაა და დედამისს უნდოდა, შვილი გვერდით ჰყოლოდა.

ცოლის მერე ერთი ხანგრძლივი, ათწლიანი ურთიერთობა მქონდა. მას ეკონომიკური მდგომარეობის გამო დავშორდი.

შვილებთან არ მაქვს კარგი ურთიერთობა და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ ბაბუა აძულებდა ჩემს თავს, უვარგისიაო ეუბნებოდა.

საშუალო სკოლა და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული.

სკოლის პერიოდში ურთიერთობა მოსწავლეებთან მომწონდა, მიყვარდა ბოტანიკა, ფიზკულტურა. ერთადერთი რაც არ მიყვარდა, ზედმეტ საათებს რომ გვტოვებდნენ. ოთხი მეგობარი მყავს ბავშვობიდან, დღემდე ვაგრძელებთ ურთიერთობას.

ტექნიკუმის მერე ჯარში წავედი. ჯარის შემდეგ ვმუშაობდი ხელოსნად, მშენებლობაზე, მძღოლად, ძალოვან სტრუქტურაშიც მომიწია საქმიანობა. არცერთ სამსახურში არაფერი დამიშავებია, არავისთან შევსულვარ კონფლიქტში. თუ არაფერს დამიშავებდა ადამიანი, იმას რატომ დავუშავებდი რამეს?

და მყავდა, რომელიც ჩემზე 10 წლით პატარა იყო, მე ვპატრონობდი. მე-10 კლასიდან გათხოვდა. ჩემი დის ოჯახი ერთხელ არ მოსულა ჩვენთან და არ დალაპარაკებია ჩემს მშობლებს. როგორც ჩანს, მამაჩემთან ურთიერთობა არ უნდოდათ. არ აეწყო ჩემს დას ცხოვრება. რამდენიმე წლის შემდეგ ქმარს დაშორდა და სახლში დაბრუნდა. ამან სულ გააგიჟა

მამაჩემი. ჩემს დას გარეთ გასვლას უკრძალავდა. მასაც და დედაჩემსაც ეჩხუბებოდა, შეურაცხყოფას აყენებდა. მე რომ სახლში ვიყავი, მაშინ ვერ ბედავდა, მაგრამ მე ხომ მათთან ერთად ვერ ვიქნებოდი სულ.

ჩემმა დამ ამ აუტანელი მდგომარეობიდან გამოსავალი სახლიდან გაპარვაში იპოვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ მიიყვანა. ავტოავარიაში დაიღუპა. მის სიკვდილში მამაჩემს ვადანაშაულებ. მან მოკლა ჩემი და. ტრაგედიამ დედა ლოგინად ჩააგდო. მამაჩემი ამან სულ გააგიჟა, ცოლი რისთვის მინდა, თუ საჭმელი ვერ გამიკეთა, ვერ მომხედაო და კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით დაიწყო დედაჩემზე ძალადობა. დედა დაუძლურებული იყო, მეცოდებოდა და როდესაც შევესწარი მამაჩემი როგორ ამწარებდა მას, ვცემე. მეზობელმა პატრული გამოიძახა. დედა საავადმყოფოში გადაიყვანეს, ჩემ მიმართ კი შემაკავებელი ორდერი გამოწერეს და ამიკრძალეს სახლთან მიახლოება. რამდენიმე დღის შემდეგ დედა უნდა გამომეყვანა საავადმყოფოდან. სახლში რომ მივედით, მე და მამაჩემმა ამ ამბის აღნიშვნა გადავწყვიტეთ. დავლიეთ. მერე მამაჩემმა დედაჩემს კვლავ შეურაცხყოფა მიაყენა, ვერ მოვითმინე. არ მახსოვს რა მოხდა. მითხრეს, რომ ფიზიკურად შევეხე.

ძალიან მთვრალი ვიყავი, წინასწარ არ დამიგეგმია მამაჩემის ცემა, იმპულსურად ვმოქმედებდი. ჩემი საქციელის მთავარი მოტივი მამაჩემის მიმართ სიძულვილი იყო.

ჩემი აქ ყოფნის პერიოდში დედა გარდაიცვალა.

აქედან რომ გავალ, გვარი უნდა გამოვიცვალო, სხვანაირად მამაჩემს ვერ დავსჯი.

აქ რომ ვზივარ მაგის ბრალია.

თემური, 64 წლის

მშობლებმა გამზარდეს. მამა სახანძროში მუშაობდა, დედა მუშად, ფეხსაცმლის ფაბრიკაში. ორივეს საშუალო განათლება ჰქონდა. არ გვიჭირდა. მათი ხელფასი გვყოფნიდა. თუ რამე კარგი იყო ცხოვრებაში, ეს აწ გარდაცვლილი ჩემი მშობლები და ჩემი შვილიშვილი არიან.

სამი და მყავს: ერთი – უფროსი და ორი – უმცროსი. მომთხოვნი მშობლები მყავდა. არ მსჯიდნენ იმიტომ, რომ არ ვიმსახურებდი. ხელი არ აუწევიათ. როგორ შეიძლება მშობელი ცუდი იყოს? მამა ყოველთვის ავტორიტეტი იყო ჩემთვის. დედას ჩემს მიმართ მეტი სითბო ჰქონდა, ვიდრე გოგოების მიმართ – მაინც გვარის გამგრძელებელი ვიყავი. საშინაო საქმეებში დედას გოგოები ეხმარებოდნენ... კაცს თავისი ადგილი აქვს, გოგოს თავისი.

ცოლს ვეუბნებოდი, გოგოს შენ მიხედე-მეთქი. კაცი ოჯახში შემომტანი უნდა იყოს. ქალსა და კაცს შორის თანასწორობა ვერ იქნება. აი წესებს მეტწილად ქალები ადგენენ. ნორმალურ ქალს შეუძლია კაცი ფეხზე დააყენოს.

სანამ დამიჭერდნენ, დებთან ახლო ურთიერთობა მქონდა, მაგრამ რაც მომისაჯეს, მათთან არ დამირეკავს. ფულს მეგობრები მიგზავნიან, ჩემები – არა.

რვა კლასამდე კარგად ვსწავლობდი. მერე წიგნი არ გადამიშლია. ვისმენდი და იქვე ვითვისებდი, პრობლემა არ მქონია. ხშირად ვჩხუბობდი. ჩხუბში გაიცნობდი მეგობარს, მერე დაძმაკაცდებოდი. ბევრი მეგობარი მყავდა, სულ სხვადასხვა ეროვნების. ამიტომ ვიცი ოთხი ენა. ქუჩა აუცილებელია, თუმცა – ზომიერად. კარგი ურთიერთობა მქონდა კლასელებთან, ერთ ოჯახად ვიყავით. უფროს კლასელებთან ვახლობლობდი.

სკოლა დავამთავრე თუ არა, რუსეთში ნავედი. ჯარში ვმსახურობდი. სამხედრო განათლება მივიღე. მერე სამხედრო სფეროში 20 წელზე მეტი ვიმსახურე. ოფიცერი ვარ. მომწონდა ის, რასაც ვაკეთებდი. ერთხელ მეგობრის გამო ვიჩხუბე და გამასამართლეს. ეს იყო ჩემი პირველი ნასამართლობა. როცა აირია ქვეყანა და გართულდა მუშაობა, საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მივიღე. განვლილ ცხოვრებას არ ვნანობ!

ცოლის მოყვანამდე ერთხელ მიყვარდა. ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი მშობლები ამ ქორწინების წინააღმდეგები იყვნენ, რის გამოც ერთმანეთს დავშორდით.

21 წლის ასაკში დავოჯახდი. რუსეთში, ფორმაში გამოწყობილი მდინარის სანაპიროზე ვსეირნობდი, იქ გავიცანი, ლამაზი იყო... გრძელი თმები ჰქონდა. ჩემმა დიასახლისმა ჩამიშვა ჩემებთან, გოგო დადის მასთან და ცოლ-ქმრობენო. ჩამოვიდნენ მშობლები და წაიყვანეს საქართველოში. დედინაცვალი ჰყავდა. თოთხმეტი წლის ასაკში კიბოთი დედა გარდაეცვალა. მისი გოგოც, ანუ ჩემი შვილი მისი დედის ასაკში გარდაიცვალა სიმსივნით. 2 ვაჟი დამრჩა.

14 წლის წინ, ქალიშვილთან კონფლიქტის გამო, მთელი ოჯახი (მეუღლე და შვილები) 3 წლით სახლიდან გავაგდე. პირველად მაშინ ჰქონდა ძალადობრივ ქცევას ადგილი.

ქალიშვილი იმას აკეთებდა, რაც არ უნდა გაეკეთებინა. ამის შესახებ ცოლმა იცოდა თურმე. ავედი სახლში და ყველაფერი გადავამტვრიე. მთელი ოჯახი სახლიდან გავყარე. მერე ათი დღე ვალაგებდი სახლს. სამი წელი ქირით ცხოვრობდნენ და მათთან კონტაქტი არ მქონდა. არ ველაპარაკებოდი არავის. ჩემი ქალიშვილი ამ პერიოდში გათხოვდა და 6 თვის ორსული გამოთხოვდა. ნარკომანი ქმარი შეხვდა. შვილს ეუბნებოდა, რომ მამა მოკვდა. სიკვდილის წინ უთქვამს, რომ ცოცხალია. მას სხვა ოჯახი ჰყავს. დაახლოებით წლის და ორი თვის იყო ჩემი შვილიშვილი, რომ ყველანი ჩემთან დავაბრუნე. ჩემი შვილიშვილი ჩემი გაზრდილია. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. როგორც ის ბავშვი მიყვარს, ისე არავინ მყვარებია. არავის იმედი არ მაქვს. მხოლოდ ის არის ჩემი იმედი.

2010 წელს ქალიშვილს ვეჩხუბე და სიკვდილამდე არ ველაპარაკებოდი. არ მეგონა ასეთი უდრეკი თუ იქნებოდა. ისეთ მეგობართან წავიდა, ვისთანაც არ უნდა წასულიყო. კონფლიქტის დროს ჩემი შვილი დაიჭრა.

მეუღლე გადაეფარა და მანაც მიიღო დაზიანება. ბევრი არაფერი, უბრალო ნაკაწრი იყო, მაგრამ მაინც მომისაჯეს. მეორე წელს შეწყალება შემეხო და საერთოდ მომეხსნა ნასამართლობა.

ქალიშვილი 1 წლის წინ გარდაიცვალა სიმსივნით, 2 ვაჟი დამრჩა. დღესდღეობით ჩემი ცოლი, შვილიშვილი და უფროსი ბიჭი ცხოვრობენ ჩემს სახლში. უმცროსი ცოლ-შვილთანაა. სწორედ იმ უმცროსის გამო ვზივარ აქ. ხელ-ფეხი აქვს მოსამტვრევი. უარესს ვუზამ. მომენტი იხელთეს, რომ მოვეშორებინე. გადამიარეს ფეხებით. მაგას ვაპატიებ?

ნასვამი ვიყავი. უმცროსმა შვილმა უმიზეზოდ დამიწყო ჩხუბი, ფეხებით შემდგა, რადგან გაბრაზებული იყო ჩემზე. ადრე ხელი გავარტყი, იმის გამო, რომ ისეთი რაღაც გააკეთა, რაც არ შეიძლებოდა. ეს არ მაპატია. სახლიდან გავყარე. პატრულს გამოუძახეს თურმე. შვილიშვილმა თქვა ფეხზე დამარტყაო. არ დამირტყამს. როგორ ვიზამდი. ჩემს ბიჭს მანამდე უთქვამს მისთვის დედაშენი ბაბუაშენმა ჩადო მიწაშიო. როგორ ვაპატიო?!

ჩემთან არავინ მოსულა, არც მე დამირეკავს. რომ გავალ, დაველაპარაკები. თუ უნდათ ჩემი წესებით ცხოვრება, დარჩნენ, თუ არადა, წავიდნენ სახლიდან. ჩემს ცოლთან კამათი ყოველთვის განსხვავებული შეხედულებების გამო მქონდა. ჩვენს ცხოვრებაზე ჩვენმა შვილებმა მოახდინეს უარყოფითი გავლენა. მე ვთხოვდი, გოგოსთვის მეტი ყურადღება მიექცია. ის კი ქალიშვილს იცავდა. ასე არ უნდა ექნა. ორ ცეცხლს შუა იყო. ვადანაშაულებდი. ახლა მესმის მისი. ცოდვაა. ჩემგან განსხვავებით, ჩემი ცოლი ყოველთვის ეჭვიანობდა. შვილიშვილის მიმართ არასოდეს, მაგრამ ჩემს ცოლთან და შვილებთან ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა ხმის აწევას; შეურაცხყოფის მიყენებას; ხელის ტაცებას; ხელის კვრას; ჭიქის სროლას. მაგრამ როდესაც ასე ხდებოდა, ყოველთვის ნასვამი ვიყავი. ჩემი საქციელი გეგმის ნაწილი არასდროს ყოფილა. ეს ყოველთვის იმპულსურად ხდებოდა. მეუღლე და შვილები პატრულს ხშირად იძახებდნენ. ცდილობდნენ, შარი მოედოთ და გამოუვიდათ კიდეც. ბოლო ხანებში ხშირად ვფიქრობდი განქორწინებაზე. მოსამართლეს მისთვისაც უკითხავს, რატომ არ დაშორდიო. სად წავსულიყავიო, უპასუხია. მიყვარს ეს ქალი, მაგრამ არ ვეუბნები. არც ვეტყვი.

რომ გავალ, მე და ჩემი მეუღლე დავსხდებით და დავილაპარაკებთ. შევეკითხები, რა და როგორ უნდა. თუ არადა, წავიდეს. ქირას მე გადავუხდი. მან იცის, რომ მისი პატრონი მე ვარ, ისევე როგორც, ის ჩემი. რომ ვკვდებოდე, შვილიშვილს არაფერს ავუხსნი. არ შეიძლება. თვითონ მოვა.

ლაშა 42 წლის

დაბადებიდან პრობლემები მქონდა. დედა უკრაინელი მყავდა, რომელმაც, როგორც ღორი, ისე გამყიდა. 14 წლის ვიყავი, ნათესავმა სიკვდილის წინ რომ მითხრა, აყვანილი ხარო. ძალიან გავბრაზდი. ჩემს ადგილზე ნებისმიერი გაბრაზდებოდა. ჩემებმა ყველაფერი მიამბეს. მითხრეს,

ვინც იყო დედა. მამაზე არაფერი იცოდნენ. როცა გავიზარდე, ჩავაკითხე დედაჩემს. მკვდარი დამხვდა.

ვინც მიშვილა, ისინი კარგად მექცეოდნენ. დიდად განათლებული არცერთი არ იყო. დედა დიასახლისი გახლდათ, მამა სხვადასხვა ადგილას მუშაობდა. ჩემს აღზრდაში ორივე მონაწილეობდა. როგორც ყველა ბიჭს, დედასთან უფრო თბილი ურთიერთობა მქონდა. ზოგჯერ მკაცრები იყვნენ, თავისთავად ცემითაც მცემდნენ. მაშინ ეს მიღებული იყო. ყველას ასე ზრდიდნენ. დედა ნაკლებად მსჯიდა. წესები იყო, ასე მოიქეცი, ისე მოიქეციო. გაინტერესებთ, ჩემი ახლანდელი ქცევა ბავშვობის პრობლემებთანაა დაკავშირებული თუ არა? არა!

ოჯახში ჩემ გარდა არავინ არის ნასამართლევი. სამჯერ მოვხვდი ციხეში. პირველად მოხმარებისთვის დამიჭირეს. წამალი გავიკეთე და „ჩამეტუმბა“. რომ წამოვედი, გზაში დამაკავეს. ეტყობა იცოდნენ. მეორედ – დაჭრისთვის წელიწადნახევარი მოვიხადე, ახლა მესამედ ვზივარ. ციხეს თავი ვერ დავაღწიე. თან სულ დახურული ტიპის დაწესებულებაში ვხვდები.

მოზარდობიდან დავიწყე წამლის მოხმარება. ვიკეთებდი სამეგობრო წრეში, ქუჩაში. ეს თითქოს მავსებდა. როცა არ არის ბედნიერება, ცდილობ რაღაცნაირად შეავსო, დახუჭო თვალი, შენი თავი მოიტყუო. სულ ვიკეთებდი. ციხიდანაც რომ გავედი, მაშინაც. ზედმეტი დოზა არ მომსვლია და არც სხვისი შპრიცი არასოდეს გამომიყენებია. ზომიერებაა საჭირო. ოჯახის წევრები ვერ ხვდებოდნენ. ეგონათ, მხოლოდ ვეწეოდი.

სკოლა დიდად არ მიყვარდა. იყო საგნები, რომლებიც მაინტერესებდა. რაც არ მაინტერესებდა, არც ვსწავლობდი. მეთერთმეტე კლასიდან გამრიცხეს. მათემატიკა ნიშანს არ მიწერდა, მითხრა, სამიანს გაღირსებ, თუ სხვაგან გადახვალო. ღამის სკოლა დავამთავრე. სწავლა არ გამიგრძელებია. ისეთი დრო იყო, არაფერი ხდებოდა. მხოლოდ ქუჩა იყო. იქ უნდა გადავრჩენილიყავი. ამას კი, თავისი შნო და მარიფათი სჭირდებოდა. იმ პერიოდში გოგოებსაც ის მოსწონდათ, ვინც ქუჩაში იდგა, ეწეოდა. დამრჩა ეგ მენტალიტეტი და ვერც შევცვალე ცხოვრება. მერე ევროპაში წავედი ექსკურსიაზე. იქიდან გავიპარე, რის შემდეგაც სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდი. იქ წელიწადნახევარი დავყავი... საქართველოში ცოლი და ბავშვი მელოდებოდა. ჩამოდი, ჩამოდიო. ჩამოვედი და...

ყოველთვის ბევრი, ძალიან ბევრი მეგობარი მყავდა. მაგათ გარეშე არ შემეძლო. ძირითადად, ერთად მოვიხმარდით ნარკოტიკს, ქალებიც ბევრი მყოლია, ოღონდ ჩემი ცოლის ყურამდე არ მისულა. არც ვაგრძნობინებდი. ეს ჩემი სირცხვილი იქნებოდა.

მერე რუსეთში წავედი. ვიპარავდი, აბა რა მექნა? მატარებლებს ქალაქიდან ქალაქში დავყვებოდით, „ვასუფთავებდით“ და თან იქ ვცხოვრობდით... მინდოდა ქურდულ სამყაროში წარმატება მქონოდა და რაიმე სტატუსისთვის მიმეღწია, მაგრამ... რაღაცები აირია, გაძნელდა ქართველებისთვის იქ ყოფნა, მეუღლემაც ბევრ რამეში შემიშალა ხელი.

არასდროს არსად მიმუშავია. მაშინ არ იყო ამის საშუალება. ახლა რომ გამოვალ, უცხოეთში მინდა წასვლა. ყველას მინდა მოვშორდე, ყველას! ცხოვრება არ ამეწყო. რაღაცაში მინდა ვიპოვო შვება. სასმელი არ მსიამოვნებს. არც მსმელი ადამიანი მომწონს. ერთადერთი, რაც მაწყნარებს და მამშვიდებს, ნარკოტიკია. შეიძლება ვინმე ისეთ გოგოსაც შევხვდე, რომელიც გამიგებს. ნეტა ჩემი მეუღლე დამავიწყოს ვინმემ, ოღონდ ვინმემ შეძლოს ამის გაკეთება... ყველაფერი დავკარგე. 2 სახლი მაქვს, 2 მანქანა, აგარაკი, მაგრამ ეს მატერიალურია.

15 წლის ვიყავი, რომ დავქორწინდი, მეუღლე – 16-ის. გავიპარეთ. 25 წელი ვიყავით ერთად. დედაჩემი ამბობს, რომ ერთად გაიზარდეთო. ერთად ვცხოვრობდით და ჩემი ცოლი შვილივით უყვარდათ. მე და ჩემს ცოლს პატარ-პატარა სირთულეები გქონდა – ვკამათობდით, ვჩხუბობდით. მე ხან სად ვიყავი, ხან – სად. ის კი, მირეკავდა – ჩამოდიო.

ბიჭი და გოგო მყავს. ბიჭთან კონტაქტი საერთოდ არ მაქვს. ევროპაშია ახლა. მისი ბრალია, რაც მოხდა. ჩემი ცოლი ბინის გადაფორმებას მთხოვდა. ალბათ გაყიდვა და ევროპაში წასვლა უნდოდა. არ მივეცი და ვცემე. ჩემი შვილი მეგობართან ერთად მოვიდა და საქმის გარჩევა დამიწყო. ჩემს თავს დედა არჩია და თავისი საქციელით პრაქტიკულად უარი თქვა ჩემზე. ძალიან გავბრაზდი. კამათისას მისი მეგობარი დავჭერი. დამაპატიმრეს და წელიწადნახევარი მომისაჯეს. მას შემდეგ ჩემს შვილთან ურთიერთობა არ მაქვს.

ციხიდან რომ გამოვედი, მე და ჩემს ცოლს უფრო დაგვეძაბა ურთიერთობა. შეიცვალა, გაცივდა ჩემ მიმართ. რა დაემართა, არ ვიცი. ეჭვიანი არ ვარ (როცა ეჭვიანობ, სხვას ამცირებ), მაგრამ ბოლოს ვფიქრობდი, ეტყობა სხვა უყვარს-მეთქი. არ მახსოვს, რამდენჯერმე ხელიც დამირტყამს, მიცემია კიდეც. მაგიჟებდა, რომ არ ვუნდოდი. ბოლოს პატრულის გამოძახებაც დაიწყო. ორდერებიც იყო გამოწერილი. თავი რომ მივარტყმევინე, მაშინ წავიდა პოლიციაში და მიჩივლა.

შენი გამოსწორება არ იქნებაო, გაიხურა კარი და წავიდა, მიმატოვა, დამშორდა. ეტყობა, ჩემი შეეშინდა და თურქეთში გადასახლდა. გული ჩამწყდა. ყველაფერი დავკარგე. თითქოს აღარ ვარ. არ მაინტერესებს, რომელ ქალაქშია და რას აკეთებს იქ. მაგრამ იცით, როგორ მენატრება? გულით მენატრება. თან გაგიჟებით მიყვარს, თან მეზიზღება, ძალიან მეზიზღება. გაორებული ვარ და ეს მკლავს. ოღონდ ერთხელ ჩამახუტა და კიდევ 3 წელს მოვიმატებდი „სროკს“. იცით რამდენი ხანია, არ გამიცინია? მინდა სიხარული, მინდა. იმიტომ ვამბობ, რომ ჩაიარა ჩემმა მატარებელმა. არ მეგონა, ასე თუ მიყვარდა. მეგონა მივეჩვიე, არადა თურმე როგორ მყვარებია. წინა სროკზე თან გადამყვა. წინდაც კი არ გამირეცხავს აქ. ყველაფერს მიკეთებდა. მერე რა მოხდა, არ ვიცი. რომ ვნახავ, მოვკლავ-მეთქი, ნათქვამი მაქვს. გამკეთებელი ვარ. ალბათ ესეც უნდო მოხდეს. მე საერთოდ პატიება არ ვიცი, მან ისეთი რამ ჩაიდინა, რომ ყველაფრის ღირსია. ცოტა მკაცრი გგონივართ ალბათ? მაგრამ მე ჩემი წესები მაქვს.

ბოლოს მარტო ვცხოვრობდი, ჩემს მშობლებთან ახლოს. ჩემი გოგოც ჩემს მშობლებთან იზრდება. ახლა შვილზე ძალადობის გამო ვიხდი სასჯელს. მიტყდება ძალიან, არ მეკადრება ეს მუხლი. მის ტელეფონს ვათვალიერებდი და ვნახე, რომ ზაფხულში დედამისთან ერთად ზღვაზე ყოფილა, მე არ ვიცოდი, არ უთქვამთ ჩემთვის. ძალიან მეწყინა, რომ მომატყუა. ჩემი შვილის გარდა არავინ მყავს. გავბრაზდი და შემოვარტყი. არ მიცემია. დედაჩემი ჩაერია და მასაც გაბრაზებულმა გაუაზრებლად ხელი ვკარი. ვიღაცამ პატრულს დაურეკა. მოვიდნენ და არაფრის გულისთვის დამაპატიმრეს. მომიწყვეს. ყველამ გამიმეტა. აწყობთ, რომ მე სულ ციხეში ვიყო. არ მეგონა, დედაც თუ გამწირავდა.

ურთიერთობა არავისთან მაქვს. ბარათიც კი არავინ გამიკეთა, ამიტომ თანხას ვერავინ მირიცხავს. მე თვითონ არავისთან დამირეკავს. ადრეც, სანამ მე არ დავრეკე, დედა კონტაქტზე არ გამოვიდა. ისიც თუ მიმატოვებდა, არ მეგონა. ჩემს ყოფილ ცოლთან ახლაც აქვს ურთიერთობა. ის ეხმარება ჩემს მშობლებს და, რასაკვირველია, არჩევანი მასზე გააკეთეს. მე კი ხელი მკრეს. ყველამ მიმატოვა. ეშინიათ თუ ნაწყენი არიან ჩემზე, არ ვიცი. უკუღმა წავიდა ჩემი ცხოვრება. ციხე, ციხე, ციხე...

ნორმალური ოჯახი მინდა. რომ ვეყვარები, ისეთი ცოლი მინდა. თავისთავად, წამალსაც დავანებებ თავს. მე აქ (საქართველოში) გამჩერებელი არ ვარ. მეშინია ახალი ცხოვრების დაწყების, მეშინია.

ლევანი, 31 წლის

პატარა ვიყავი, მაგრამ მახსოვს, მამა დედას როგორ სცემდა. რამდენჯერაც დალევდა, იმდენჯერ სცემდა. ჩხუბს როგორც კი იწყებდა, შიშისგან საწოლის ქვეშ ვიმალებოდი. მერე მამა გარდაიცვალა. მე და ჩემი და-ძმა დედამ გაგვზარდა. დედა არცერთს არ გვასხვავებდა, თუმცა, მე მასთან ყოველთვის განსაკუთრებულად თბილი და მეგობრული ურთიერთობა მქონდა. დედაჩემს სილამაზის სალონი აქვს და ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არასდროს უჭირდა. ბუნებით ლიდერი ვიყავი და მამის გარდაცვალების შემდეგ დედას საშინაო და საგარეო საქმეებში ვეხმარებოდი.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი. მომწონდა სკოლა. ცუდად არ მახსენდება. იშვიათად ვჩხუბობდი. ბავშვობაში არ დავსჯილვარ, თუმცა, კარგი საქციელისთვის წახალისებაც არ მახსოვს. ჩემს კლასელებთან დღემდე ვმეგობრობ.

უმაღლესი განათლება მაქვს. სამხატვრო აკადემია დავამთავრე. ჩემი სტუდია მაქვს, სადაც ერთი თანამშრომელი მყავს. კლიენტებთან კი, მაგრამ მასთან პრობლემა არასდროს შემქმნია. ძალიან მომწონს ჩემი საქმე. ხშირად ვრჩებოდი სამსახურში, რის გამოც, ჩემი ყოფილი ცოლი მეჩხუბებოდა. ჩემს ოჯახურ ურთიერთობებზე ეს ალბათ გავლენას ახდენდა.

ოთხჯერ ვიყავი ქორწინებაში: პირველი ქორწინება გაგრძელდა 2 წელი, მეორე – 4 წელი, მესამე – წელიწადი და 2 თვე, მეოთხე – წელიწა-

დი და 5 თვე. პირველი მეუღლისგან მყავს 12 წლის გოგო, მეორე მეუღლისგან – 7 წლის გოგო, მესამე მეუღლისგან – 6 წლის და 3 წლის ბიჭები და მეოთხე მეუღლისგან – გერი. ახლა არცერთ მათგანთან ურთიერთობა არ მაქვს. ჩემთან ურთიერთობას ყოველთვის ისინი წყვეტდნენ.

ბოლო მეუღლე მეგობრების წრეში, ზღვაზე გავიცანი. იდეალური ურთიერთობა გქონდა. ვცხოვრობდით მე, ჩემი ცოლი და მისი 10 წლის ბიჭი, თუმცა, ხშირად მამასთან მიდიოდა. რაც ძალიან მაღიზიანებდა, იყო მისი ზედმეტი ყურადღება. მომწონდა, რომ ძალიან ამაყია. სწორედ ამ თვისების გამო არ მაპატია და ციხეში ჩამსვა.

მხოლოდ ერთხელ ავწიე ხელი მასზე და მაშინვე დამიჭირეს. მეგობართან ერთად ვსვამდი. თავზე დამადგა, სახლში წამოდიო. სავარაუდოდ იეჭვიანა. ჰქონდა ამის მიზეზი, იცოდა, ცოლებს რომ ყოველთვის ვღალატობდი. ამასაც ჩემს ყოფილ ცოლთან ვუღალატე. რომ გაიგო, დაშორება უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა. თუმცა, სულ ეჭვიანობდა, მამოწმებდა. მეც ეჭვიანი ვარ, უფრო მეტიც – მესაკუთრე, მაგრამ მის საქციელზე გავნერვიულდი, ვერ მოვითმინე და მისი არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით შემოვარტყი. სახე გაეკაწრა. ალკოჰოლი ზომაზე მეტად მქონდა მიღებული. მოწეულიც მქონდა და იმპულსურად ვმოქმედებდი. ამის გამო, პატრული გამოიძახა. უსიტყვოდ ჩავბარდი. თუმცა, რომ მცოდნოდა, რომ ამაზე იჭერდნენ, არ გავარტყამდი.

ზოგადად, ძალიან იმპულსური ვარ და მიჭირს ემოციების მართვა. თუმცა, ჩემს შემთხვევაში ყოველთვის ალკოჰოლი იყო კონფლიქტის დაწყების მიზეზი. ჩემი ძმის ცოლი ყოველი დაორსულების შემდეგ აბორტს იკეთებდა. ამის გამო, პროტესტი მქონდა, მაგრამ ვერ ვერეოდი და, შესაბამისად, ვერაფერს ვცვლიდი. ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, საკუთარი თავისთვის მევნო და მუცელი გადავიჭერი.

პაემანზე ჩემთან მოდის დედა და და. ძმა ევროპაშია და ამიტომ მასთან მხოლოდ ტელეფონით ვკონტაქტობ.

დედაჩემი კი ჩემს ყოფილ ცოლსაც ეკონტაქტება. ვიცი, რომ ისიც ნანობს, ასე რომ მოიქცა, თვითონაც აიწეწა ცხოვრება. ჩემს გერს კი, ძალიან ვუყვარვარ და დარწმუნებული ვარ, გამიგებს.

ლუკა, 48 წლის

ბავშვობა თბილისში გავატარე. დედა გარკვეული პერიოდი სასადილოში, მამა კი წლების განმავლობაში მძღოლად მუშაობდა. მშრომელი კაცი იყო, მაგრამ ძალიან უყვარდა სმა. ამის გამო სამსახურიდანაც კი გაათავისუფლეს. მიუხედავად იმისა, რომ, ოჯახში პატარ-პატარა კონფლიქტები სულ იყო, ჩემი ბავშვობა რთული არ ყოფილა.

ერთი ძმა მყავს, ჩემზე ოთხი წლით უფროსი. ძმასთან კარგი ურთიერთობა მქონდა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე უფროსი იყო, მასზე მე ვზრუნავდი – იქნებოდა ეს სკოლაში ბიჭებთან ურთიერთობის გარკვევა, თუ სხვადასხვა რჩევის მიცემა. ეს იმიტომ, რომ ჩემი ძმა უფრო მორი-

დებული იყო, მე სხვანაირი ხასიათი მქონდა, უფრო „ხულიგანი“ ვიყავი. პერიოდულად ვსვამდი, თუმცა არასდროს ვყოფილვარ აგრესიული. ჩემი ძმის გარდაცვალების მიზეზი კი ალკოჰოლი გახდა. დაუზიანდა ღვიძლი, ჰქონდა ენურეზი და, ბოლოს, არყის ბოთლით ხელში იპოვეს გარდაცვლილი.

ბავშვობაში კარგად არ ვსწავლობდი და სკოლისთვის თავის დანებებაც ჩემი გადაწყვეტილება იყო. ჩემი თხოვნით, მშობლებმა პროფესიულ სასწავლებელში გადამიყვანეს. იქ მხოლოდ ერთი წელი ვისწავლე, რადგან ჯარში მომიწია წასვლა. ცოტა მეგობარი მყავდა. ვცდილობდი, ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონოდა, მაგრამ, ამავე დროს, მათგან თავი შორს მეჭირა.

სულ სამჯერ მიყვარდა. პირველი სიყვარული ჯარში წასვლამდე მეწვია, თუმცა, იქიდან დაბრუნებულს შეყვარებული გათხოვილი დამხვდა. მეორე შეყვარებულის ძმასთან კონფლიქტი მომივიდა, რის შემდეგაც, გოგომ თავად აღარ ისურვა ჩემთან ურთიერთობის გაგრძელება. მესამე სიყვარული ჩემი ამჟამინდელი მეუღლეა.

ოჯახი 35 წლისამ შევქმენი. ჩემი მეუღლე დაქორწინებამდე სულ ცოტა ხნით ადრე გავიცანი. მერე მოტყუებით ჩავისვი მანქანაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოვიტაცე. მე მასზე 13 წლით უფროსი ვარ.

იმ პერიოდში კონკრეტული სამსახური არ მქონდა, თუმცა, სოფელში მიწათმოქმედებას მივდევდი. სახელმწიფომ ჩემს ოჯახს სახლი გადასცა, რადგან მას შემდეგ, რაც სოფელი სტიქიურმა უბედურებამ დააზარალა, ჩემი მამაპაპისეული სახლი მთლიანად დაზიანდა და ოჯახი სოციალურად დაუცველთა შორის აღმოჩნდა.

ოჯახის შექმნიდან ჩვენს ურთიერთობაში მალევე დაიწყო წვრილ-წვრილი კონფლიქტები. ეჭვიანობა არასდროს გამხდარა ჩხუბისა და კამათის მიზეზი. სისტემატურად მარტო მე ვმუშაობდი – ხან მიწაზე, ხან ხილს ვკრეფდი, ხან მანქანის ნაწილებს ვყიდდი. დილიდან ღამემდე თავდაუზოგავად ვშრომობდი, რომ დღის ბოლოს ოჯახში პურის ფული შემეტანა. ოჯახის ფინანსებსაც თავად განვკარგავდი. მე თავად ვწყვეტდი, თუ რა და როდის გვეყიდა. ამიტომ ჩემს გაღიზიანებას იწვევდა, ცოლი რომ არ მემორჩილებოდა. მაგალითად, ბავშვებისთვის დამოუკიდებლად ყიდულობდა ტანსაცმელს, ხშირი ურთიერთობა ჰქონდა დედასთან და დასთან, რომლებიც „ცუდ ზეგავლენას ახდენდნენ“ მასზე. მე ჩემს მეუღლეს არ ვუშლიდი დასაქმებას, თუმცა, ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებ მის შრომისუნარიანობას, რადგან მიმაჩნია, რომ საკმარისი უნარები არ აქვს.

ერთად ვცხოვრობდით მე, დედაჩემი, ჩემი მეუღლე და ორი შვილი. შვილები ძალიან მიყვარს. ჩემს უმცროს შვილს, ექვსი წლის გოგონას ხშირად ვუყვიროდი, რადგან ძალიან ცელქია. უფროსი შვილი კი, კარგად სწავლობს და სკოლაშიც თავის პრობლემებს თვითონ აგვარებს.

მე და ჩემს მეუღლეს ოჯახში გვქონია კონფლიქტი. ბავშვებს ჩვენი კამათი არაერთხელ მოუსმენიათ და ჩხუბსაც შესწრებიან. ხუმრობით

ჩემი ცოლისთვის ხელიც მიკრავს, სილაც გამირტყამს, მუშტიც მომიქნევია, მაგრამ არაფერი სერიოზული. ჩემი ცოლი მხოლოდ ერთხელ წავიდა სახლიდან და მალევე დაბრუნდა. დიდი ტრაგედიის გადატანაც მოგვიხდა, ცხრა თვის ფეხმძიმე იყო, ბავშვი რომ დავკარგეთ. ამ ამბავმა ჩემს ცოლზე დიდი ემოციური გავლენა მოახდინა. ის ჩვენთვის მეორე ბავშვი უნდა ყოფილიყო. მე ექიმებზე გავბრაზდი და სამშობიაროში ძალიან ვიჩხუბე.

სამსახურის დასრულების შემდეგ, მე, ჩემი ქვისლი და ჩემი სიდედრი სახლში წამოვედით. მგზავრობის საფასური, ორი ლარი, მეც და ჩემს ქვისლსაც სიდედრმა გადაგვიხადა. სახლში მისვლისას კაცებმა ლუდის დალევა გადავწყვიტეთ. ეს როგორც კი გაიგო ჩემი ცოლის დამ, მეც და მის ქმარსაც აგრესიული ტონით მგზავრობის საფასურის გადახდა მოგვთხოვა. გავბრაზდი, უფრო იმაზე, რომ ქმარმა მას „საკადრისი“ პასუხი არ გასცა. ცოლის დას ვუყვირე, მერე ცოლსაც მივდექი და ორჯერ ჩავარტყი მუშტი. საპატრულო პოლიცია ცოლის დამ გამოიძახა. პოლიციას სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი მოჰყვა და ჩემი მეუღლე საავადმყოფოში გადაიყვანეს, ჩემ მიმართ კი, შემაკავებელი ორდერი გამოწერეს. მე იმ ღამითვე ვცადე მეუღლის მოსანახულებლად საავადმყოფოში შესვლა, თუმცა, უშედეგოდ. მეორე დღეს გამომძიებელმა დამიბარა და მალევე ბრალი წამიყენეს. მოწმეთა სიაში ჩემი უფროსი შვილის სახელიც წერია, თუმცა, არ მახსოვს ბავშვი ესწრებოდა თუ არა ამ ჩხუბს.

მეუღლე და შვილები ჩემ სანახავად ვერ მოდიან, მატერიალურად ძალიან უჭირთ. როდესაც თავად ვრეკავ სახლში, ცოლი და უფროსი შვილი უპრობლემოდ მეკონტაქტებიან. დედაჩემს ამჟამად ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა აქვს და, ძირითადად, საწოლს არის მიჯაჭვული. ვფიქრობ, რომ მას და ჩემს ცოლს ერთმანეთში კონფლიქტი აქვთ. ისინი არასდროს ითვალისწინებენ ერთმანეთის მდგომარეობასა და მოთხოვნებს.

ვნანობ, რაც ჩავიდინე, თუმცა, მომხდარში ცოლსაც ვადანაშაულებ: „ეს არ მოხდებოდა, მეტი ტვინი რომ ჰქონოდა თავში“. მას ჩემი რჩევა უნდა გაეთვალისწინებინა და დის ოჯახისგან თავი შორს დაეჭირა.

მამუკა, 32 წლის

ოჯახი 1986 წელს დავკარგე. მშობლები, ბებია და ბაბუა ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ, როდესაც მოსკოვიდან ერთად მოფრინავდნენ. მე და ჩემი ძმა ობლად დავრჩით. მეზობლებმა ბავშვთა სახლში ჩაგვაბარეს. იქ ვიზრდებოდი 14 წლამდე. ბავშვობაში დამჯერი ვიყავი, 14 წლიდან კი, სულ ციხეში ვარ. 12-ჯერ ვარ ნასამართლევი.

მკაცრი აღმზრდელები არ გვყავდა. ყველა მე მემორჩილებოდა და ვინ გაბედავდა რამეს. ძმა კანადაშია და 10 წელია, არ მინახავს. მხოლოდ ტელეფონით ვსაუბრობთ. მას ალკოჰოლთან ჰქონდა პრობლემა, მე ნარკოტიკთან და კანონთან.

დაოჯახებული ვიყავი. ოთხი მცირეწლოვანი შვილი მყავს, ჩემს სახლში დედამისთან ერთად ცხოვრობენ.

საშუალო განათლება მივიღე. მომწონდა სკოლაში სიარული, კარგად ვსწავლობდი, მეგობრები მყავდა, თუმცა, ყოველდღე ვჩხუბობდი, რის გამოც სკოლაში პრობლემები მექმნებოდა... მშობელთა კრებას ვერ ვიტანდი, ყველას მშობელი მოდიოდა ჩემები კი – ვერა.

პირველად 14 წლის ასაკში დამიჭირეს, მაგრამ სკოლა მაინც დავასრულე. ბავშვობაში ბევრი მეგობარი მყავდა, აქედან სამი იყო ახლო მეგობარი.

სკოლის მერე არსად მიმუშავია. პროფესია არ მაქვს და ... ეს სერიოზულ გავლენას ახდენდა ჩემს ოჯახურ ურთიერთობებზე. ყოველდღე კაზინოში ვიყავი. მქონდა სიბრაზის, შფოთვის შეტევები.

ჩემი პირველი სასიყვარულო ისტორია შვიდი წელი გაგრძელდა, მეორე – ექვსი. ცხადია, ცოლმა გაწყვიტა ურთიერთობა. პერიოდულად, გავდიოდი სახლიდან და თვეობით ვიკარგებოდი. ერთად თანაცხოვრების შემდეგ მალევე მოკვლით დავემუქრე.

ვუყვიროდი, შეურაცხყოფას ვაყენებდი, ადგილი ჰქონდა ხელის კვრას, მუშტის დარტყმას, ჭიქის სროლას. ძირითადად, ნასვამი ვჩხუბობდი. ბევრჯერ მიღალატია ჩემი პარტნიორისთვისაც და მეუღლისთვისაც. ეჭვიანი არ ვყოფილვარ. ჩემი მეუღლე სკაიპით გავიცანი. ყველაზე მეტად მასში მწვანე ლამაზი თვალები მომწონს. არ მომწონს ის, რომ ძალიან წყნარია, უფრო სწორად – ბუტია. ბოლო კონფლიქტამდე ყოველი დალევის მერე ვაფრენდი და ვაპათოლოგებდი. ჩვენი ჩხუბის დროს შვილები ყოველთვის იქ იყვნენ, მაგრამ პატარები არიან და არ ესმით.

ბოლო პერიოდში ბევრს ვსვამდი, ხშირად ვჩხუბობდი. ბოლოს ისე გავაფრინე, ჩხუბის დროს ოთხი ნეკნი ჩავუმტვრიე. დოზაზე მეტი, 2 ლიტრი არაყი მქონდა დალეული და იმპულსურად ვმოქმედებდი. ყოველთვის ალკოჰოლი იყო ჩემი წონასწორობიდან გამოსვლის მიზეზი. სამჯერ იყო ჩემ მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოწერილი. ყოველი შემაკავებელი ორდერის ვადის გასვლის შემდეგ ვჩხუბობდი და, ბოლოს, დამაკავეს. საპატრულო პოლიცია მეზობლებმა გამოიძახეს, წინააღმდეგობა გავუწიე და დამიჭირეს.

მეუღლის გარდა სხვებზეც ხშირად მიძალადია – ფულის გამოძალვის მიზნით. ჩვენს ურთიერთობაში არავინ ჩარეულა, რადგან სახლში მარტო მე, ჩემი მეუღლე და შვილები ვცხოვრობდით. ახლა ჩვეულებრივ მოდის ჩემს სანახავად, მირეკავს...

ნოდარი, 49 წლის

მყავდა მამა, დედა, ორი და და ერთი ძმა. დედა დიასახლისი იყო, არასოდეს უმუშავია. საოჯახო საქმეებსა და შვილების აღზრდაზე ძირითადად ის იყო პასუხისმგებელი. მამას უმაღლესი განათლება ჰქონდა, ქარხანაში მუშაობდა, მთელი დღე სამსახურში იყო და სახლში გვიან ბრუნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მამა მუშაობდა, ყოველთვის გვქონდა აუცილებელი საჭიროების ნივთებიც და საკვებიც.

შვილებს დედასთან ახლო და თბილი ურთიერთობა გვქონდა. მამა მკაცრი იყო, თუმცა, ჩვენს თვალში, დედასთან შედარებით, მეტი ავტორიტეტი ჰქონდა. მამა დედას სხვადასხვა მიზეზით ხშირად უბრაზდებოდა და ეჩხუბებოდა. დედა მას სახლის საქმეებში დახმარებას სთხოვდა. მამა არ ეხმარებოდა და შენიშვნებს აძლევდა, ითხოვდა, ჩვენთვის მეტი ყურადღება მოექცია, მაგალითად, სწავლაში რომ არ ჩამოვრჩენილიყავით. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ თვითონაც მეტი დრო დაეთმო ჩვენთვის. მინახავს, დედას როგორ სცემდა. ეს უფრო შაბათს და კვირას ხდებოდა, როცა მამას მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა და, იმის მაგივრად, რომ შვილებთან მეტი დრო გაეტარებინა, მიდიოდა თავის მეგობრებთან, სვამდა და სახლში მთვრალი მოდიოდა. ახლა უკვე ვიცი და ვხვდები, რომ დამნაშავე მამა იყო. მაშინ 8-9 წლის ვიყავი. დიდი რომ ვყოფილიყავი, მამას აუცილებლად გავუწევდი წინააღმდეგობას.

ჩვენს ოჯახში გოგოები, ბიჭებთან შედარებით, უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ. ჩვენი აღმზრდელები ბიჭებს უფრო გვავალებდნენ საოჯახო საქმეებს, მაგალითად, ბაღში სოფლის პროდუქტების აღებას, ცხოველების მოვლას...

ახლანდელი გადასახედიდან რომ შევაფასო ჩვენ მიმართ მამის დამოკიდებულება, არ მომწონს. საჭირო იყო, შვილებთან უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ დედა სულ ჩვენთან იყო, საერთო ჯამში, გვაკლდა მშობლების სითბო. მამას შეეძლო, ჩვენთვის უფრო მეტი ყურადღება მოექცია, ხოლო დედას, როგორც ახლა ვხვდები, არც ნერვები ჰყოფნიდა და არც დრო იმისთვის, რომ ჩვენთან უფრო კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. ჩვენი დასჯა უფრო მახსოვს, ვიდრე კარგი ქცევისთვის წახალისება.

ბავშვობიდან მოყოლებული, ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და-ძმასთან. თუმცა, ახლა ყველას ჩვენ-ჩვენი ოჯახები გვყავს და ერთმანეთისთვის ბევრი დრო აღარ გვრჩება. ძმა დაქორწინებულია ქართველ ქალზე და მონათლულია მართლმადიდებლურად. დები დაოჯახდნენ და თურქეთში ცხოვრობენ.

სკოლაში ნორმალურად ვსწავლობდი. თანაკლასელებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. ერთი-ორი ახლო მეგობარი მყავდა, მაგრამ მაინც უფრო განმარტოება მერჩივნა. ეპილეფსია მქონდა და ვცდილობდი, ჩემთვის ვყოფილიყავი. ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა მაკომპლექსებდა და ადამიანებთან ურთიერთობა მიჭირდა, ამიტომაც ბევრი მეგობარი არასოდეს მყოლია.

მერვე კლასის დამთავრების შემდეგ სწავლისათვის თავის დანებება მომიწია. დედა მძიმედ დაავადდა, ოჯახს ეკონომიურად გაუჭირდა და მეც დახმარებას ვცდილობდი. ვმუშაობდი მშენებლობაზე, ვჭრიდი შუშებს, მოკლედ, ვისაც რა საქმეში სჭირდებოდა დამხმარე ძალა, მეც მათ ვეხმარებოდი. რასაც მავალებდნენ, იმას ვაკეთებდი. მერე ავარიაში მოვყევი და მკლავი დამიზიანდა. ცხადია, ჯანმრთელობის მდგომარეობის

გამო, მძიმე სამუშაოს შესრულება ვეღარ შევძელი და თავის დანებება მომიწია.

პირველი სიყვარული 15 წლის ასაკში მეწვია. ეს გოგო ჩვენი ორწლიანი ურთიერთობის მერე გათხოვდა.

დედის გარდაცვალების შემდეგ დავოჯახდი. ჩემი მეუღლე თანამშრომლის ოჯახში გავიცანი, შემიყვარდა და, ტრადიციულად, ნიშნობიდან ერთ თვეში მოვიყვანე ცოლად.

მერე საქმე ისეთ ადამიანებთან დავიჭირე, რომლებიც უწესოდ ცხოვრობდნენ და ციხეში მოვხვდი. ძმაკაცებმა ჩემი ნდობა ბოროტად გამოიყენეს – არ ვიცოდი, რომ ჩემი მანქანით ნარკოტიკი გადაჰქონდათ. ეს იყო ჩემი პირველი ნასამართლობა.

მეორე ნასამართლობა მოხდა იმის გამო, რომ ძმასთან სერიოზული კონფლიქტი მომივიდა. ძმა ნასვამი იყო, ფულს ითხოვდა, ფული არ მქონდა. ლანძღვა დამიწყო. დანა მეჭირა, მოვარტყი გვერდში და დავჭერი. თავად გამოვიძახე პოლიცია. მიუხედავად იმ ინციდენტისა, რაც ძმასთან მომიხდა, მაინც კარგი ურთიერთობა გვაქვს. მნახულობს, მოდის პაემანზე, მოაქვს ტანსაცმელი, სიგარეტის ფული.

მარიხუანა მომიხმარია, მაგრამ ალკოჰოლს არ ვეტანებოდი – c ჰეპატიტი მაქვს. აზარტული თამაშები არ მითამაშია. თავს ვარიდებ ნერვიულობას. რომ წავაგო, ვიცი ვინერვიულებ. ბავშვობიდან მაქვს ნევროზი, დეპრესია. მქონია სიბრაზის პანიკური შეტევა.

სამი შვილი მყავს. ცოლი უმუშევარია. დამხმარე არავინაა, სოციალურად დაუცველები ვართ. ჩემი ცოლი კარგი ადამიანია, სიტკბო და ბედნიერება გვაქვს ოჯახში. ყოველთვის მხოლოდ იმაზე მეჩხუბებოდა, ნუ დადიხარ ღამე და გვიან ქუჩაში ნუ ხარო. როცა გაბრაზებულია, არ მომწონს. ეს სიბრაზე არ მომწონს მასში. ეჭვიანობით არ ეჭვიანობდა, მაგრამ ეშინოდა, ცუდ წრეში არ მეტრიალა. მე მეგობრებთან ურთიერთობას არ ვუკრძალავდი. ფულს თანაბრად განვკარგავდით. უფრო ხშირად ჩემს ხელფასს მთლიანად ვაძლევდი და მერე უკან ვთხოვდი სიგარეტის ფულსაც კი. იშვიათად ვითარდებოდა საუბარი ისე, როდესაც ხმის აწევა მიწევდა. შეურაცხყოფა არასდროს მიმიყენებია. ცოლი ძალიან გამხდარი და სუსტი ქალია, მისთვის ხელის დარტყმა აზრადაც არ მომსვლია. ჩემი გაბრაზება ერთხელ გამოიწვია იმან, რომ ჩემი ხელფასიდან ვთხოვე გზის ფული და არ მომცა. ამან ძალიან გამაღიზიანა. მაშინ ვისროლე ტელეფონი კედლის მიმართულებით.

სამსახურიდან სახლში რომ დავბრუნდი, არ დამხვდა. წავედი სიდედრთან, სადაც ჩემი ცოლი მეგულებოდა. ცოტა ნასვამი ვიყავი. სიდედრმა კამათი დამიწყო, რატომ ხარ ნასვამი, რატომ დალიეო. მე ჩემს შვილს შენთან აღარ გამოვუშვებო. სახლში გამოვბრუნდი, ცოლიც უკან მომყვა. ვეჩხუბე, არ მიცემია. სიდედრმა ჩვენი ჩხუბის შესახებ გაიგო და პატრული გამოიძახა. პატრულმა კი სასწრაფო. ჩემ ცოლს ხშირად აქვს თავის ტკივილები. მაშინაც თავი სტკიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელით არ

შევხებივარ, საავადმყოფოში გადაიყვანეს. პატრულმა კი, შემაკავებელი ორდერი გამოწერა.

მერე გაირკვა, რომ პროკურატურაშიც დაურეკავს სიდედრს, რატომ არ დააკავეთო. ჩემმა ცოლმა ვერ განსაზღვრა, რომ პირობითი მქონდა და ციხეში ჩამსვამდნენ. მას ჩემი დაპატიმრება არ უნდოდა. ჩემმა ბიჭმა ნახა ჩხუბი. ეს ფაქტი მასზე ცუდად იმოქმედებდა, რასაკვირველია. პატრულმა რომ დამიჭირა, ბავშვებმა იტირეს. ცოლთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს, მოდის მოსანახულებლად.

ცხადია, რომ სიდედრი ახდენს ჩემ ცოლზე ცუდ გავლენას. ამ კონფლიქტშიც მთავარი როლი მან შეასრულა, მან მოახდინა პროვოცირება.

თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იყო დანაშაული და, მიმაჩნია, რომ დამნაშავე ვარ.

ოთარი, 52 წლის

ნონას გამო ვზივარ აქ, ნონამ ჩამსვა, მაგან დამლუპა.

მშობლები და უფროსი დები მზრდიდნენ. ერთი ბიჭი ვიყავი, თან პატარა, ყველა ჩემზე იყო გადამკვდარი, თავს მევლებოდნენ. ჩემს მშობლებს საშუალო განათლება ჰქონდათ. მამა ხის საქმეზე მუშაობდა, დედაჩემი მეურნეობაში. ჩემთვის მამა ავტორიტეტი იყო, რიდიც მქონდა მისი და შიშიც.

მშობლებთან ურთიერთობისას პრობლემა არასდროს მქონია, მკაცრად მზრდიდნენ, როცა დასასჯელი ვიყავი მსჯიდნენ, თავზე ხელი არ გადაუსვამთ. ცემით კი არასოდეს ვუცემივართ. ჩემ გამო, მშობლები სხვას თავს მოაჭამდნენ.

ამჟამად ჩემი უფროსი და ლოგინად არის ჩავარდნილი. მეორეც ავადმყოფობს. მე და ჩემს დებს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მათი გაზრდილი ვარ, ახლა აღარ შეუძლიათ, თორემ...

მყავს სამი შვილი – 2 ბიჭი და 1 გოგო – და 4 შვილიშვილი. ჩემი ცოლი მამაჩემის აშენებულ სახლში ცხოვრობს. ბიჭები მუშაობენ თბილისში, გოგო გათხოვილია უკვე.

გოგოსთან მაქვს უფრო ურთიერთობა. ბიჭები არ მოდიან ჩემს სანახავად, გვერდში არ დამიდგნენ. არაფერი უთქვამთ, მაგრამ, ალბათ არ მოიწონეს ჩემი საქციელი, არ მამართლებენ.

საშუალო განათლება მაქვს. უბრალოდ, სკოლა არ მინდოდა. არ მიმაჩნდა სწავლა საჭიროდ. არაფერი მაკლდა და არ მჭირდებოდა. თავისუფლება მინდოდა. ვფიქრობდი, ისედაც ვიმუშავებ და რაღაცას გავაკეთებ მეთქი. კარგი ურთიერთობა მქონდა თანაკლასელებთან. მთელი სოფელი ჩემი მეგობარია, ჩემზე რომ ჰკითხოთ, არცერთი კაცი ცუდს არ გეტყვით. სკოლის მერე ტექნიკური დავამთავრე. სახლში გვქონდა მეურნეობა და იქ ვმუშაობდი.

18 წლის ვიყავი, როდესაც დავოჯახდი, ის კი – 21-ის. მომავალი მეუღლე ჩემს ბიძაშვილთან ოჯახში გავიცანი, მისი კურსელი იყო. ის დღე

დაიწვას. ვმუშაობდი, ოჯახს ვინახავდი. მეურნეობა გვქონდა, მერე სხვადასხვა საქმეს ვაკეთებდით. 27 წლის ვიყავი, როდესაც ჩვენს პირველ შვილს მანქანა დაეჯახა. მძღოლი გაიქცა და ბავშვი მიატოვა. შვილი დამეღუპა. მკვლელის ძებნა დავიწყე. 7 წელი ვეძებდი, ხან სად მოვხვდი, ხან – სად. უკვე ნერვები მღალატობდა. პირველი ქურდობაც მაგ დროს ჩავიდინე.

ისეთი არაფერი დამიშავებია, ჩანთა გამოვტაცე ქალს, რის გამოც ციხეში გამიშვეს. მერე 37 წლის და დამეღუპა. ძალიან განვიცადე. მერე დიშვილს მეუღლე გარდაეცვალა და...

მერე ჩემი ცოლის გამო მოვხვდი ციხეში. კამათი მოგვივიდა. პირობითი მქონდა სხვა საქმეზე მაგ დროს (ქურდობაზე), ნასვამი ვიყავი, ქალებს სჩვევიათ შელაპარაკება, შევყევი და მოხდა რა. ვაპატიე ყველაფერი. დასაქმების პროგრამაც გავიარე.

ჩემი ბიძაშვილები იყვნენ ჩემთან სტუმრად, ცოტა დავლიეთ. ჩემი ცოლი შემოვიდა, სახე ჩამოსტიროდა. დაჯდა. ვუთხარი, ქალო გაიცინე, რა გჭირს, შუბლი გახსენი-მეთქი. ისინი რომ წავიდნენ, მერე ვუთხარი, ჯობდა, სულ არ შემოსულიყავი, მიხვდა ხალხი, რა განწყობაც გქონდა-მეთქი. მიყვარს სასმელი და ცოტა ნასვამი ვიყავი. გავბრაზდი, ასეთი სახით რომ დადიოდა. შეიძლება დაღლილი იყო, მაგრამ მაინც არ მოიქცა სწორად. არ შეეფერებოდა, ისე იქცეოდა, სახეზე ეწერა ყველაფერი.

შენიშვნა მივეცი, ვუთხარი, ეგ შენი მოგროვილი რძე რომ გადაგიქციო, ხომ ხარ ღირსი-მეთქი და გაგიჟდა, ხელი არ მოკიდოო. არ დამიქცევია, დავდე, გავეცალე სოფელში და პოლიცია მომადგა. ეგ იყო და ეგ.

ახლა განქორწინებაზე საბუთები გავაგზავნე. ის ჩემთან, მამაჩემის აშენებულ სახლში ცხოვრობს. რომ გავალ, იქ მივალ, ჩემი სახლია, აბა სად წავიდე, რა, არ შემიშვებს?

ჩემი ცოლი სულ ჩხუბობდა, ხან რაზე ხან რაზე. ერთით ვარ კმაყოფილი, კარგი შვილები გამიზარდა. ახლა 52 წლის ვარ. ჯამში 23 წელი გავატარე ციხეში.

საჰიბი, 51 წლის

მე და ჩემს დას დედა და ჩვენზე 11 წლით უფროსი ძმა გვზრდიდნენ. დედა დიასახლისი იყო, ძმა კი – ძალოვანი სისტემის თანამშრომელი.

დამოკიდებულება ჩემსა და ჩემს დასთან მიმართებით განსხვავებული იყო. ჩემი და სახლიდან პრაქტიკულად არ გადიოდა. სულ დედასთან ერთად იყო. ვინმეს რომ არ გადაჰყროდა და არ დაზარალებულიყო, ჩემმა ძმამ თავისი თანამშრომელი გაურიგა.

ორი შვილი მყავს, ბიჭები. რუსეთში არიან, თავისი ფირმა აქვთ. ცოლი ჯერ არცერთს არ მოუყვანია.

საშუალო განათლება მაქვს მიღებული. კარგად ვსწავლობდი, თუმცა, უკეთესადაც შემეძლო. სპორტით ვიყავი გატაცებული. ბევრი მეგობარი მყავდა, არასდროს მიჩხუბია.

სკოლის მერე ჯარში ვიმსახურე. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის მერე კოოპერატივი გავხსენი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვასწავლიდი რელიგიას. სასულიერო პირი გავხდი. ბევრი მეგობარი შევიძინე.

ჩემი ცოლი პირველი ქალი იყო ჩემთვის. მაშინ 24 წლის ვიყავი. დედამ გამაცნო და უარი არ მითქვამს. 20 წელზე მეტი ვიცხოვრეთ ერთად. ბოლო ორი წელი რაღაც სხვანაირად იქცეოდა. ადრე რასაც ვიტყოდი, არასდროს არაფერს აპროტესტებდა. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, თურქეთში წავიდა სამუშაოდ. ჩემი მოძღვრების გამო, მტრები მყავდა. სულ მემუქრებოდნენ. ჩემთან ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, ჩემ წინააღმდეგ ჩემი ცოლი გამოიყენეს. ქალის ასე მოულოდნელი შეცვლა სხვაგვარად ვერ აიხსნება. ადრე სტუმრებთან არც კი გამოდიოდა, რცხვენოდა. ბოლოს კი, რიდი საერთოდ დაკარგა, სხვების თანდასწრებით ხმამაღლა იცინოდა, გამომწვევად იცვამდა, თავს არ აკონტროლებდა. ვუთხარი, რომ სახლიდან წასულიყო. მაგრამ არ წავიდა. ეჭვი მქონდა, რომ მღალატობდა. ბოლოს კი მითხრა, სხვა მყავს და ამას სპეციალურად ვაკეთებო.

ჭკუიდან გადავდექი. პატარა რკინის ნაჭერი ავიღე და რამდენჯერმე ჩავარტყი თავში. არ უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ცუდ ადგილას მოხვდა. მოვკალი. თუმცა, ამას ნამდვილად არ ვგეგმავდი. ასე გამოვიდა. ეს მისი არჩევანი აღმოჩნდა.

შვილებმა გამიგეს. მხარს მიჭერენ და აქედან რომ გავალ, საცხოვრებლად მათთან წავალ. მიყვარს ჩემი სოფელი, მაგრამ იქ აღარ დამედგომება. მე სხვას ჭკუას ვეღარ დავარიგებ, არ მაქვს უფლება. ალბათ ჯობდა, მე წავსულიყავი სახლიდან. ხალხის, ღვთის წინაშე ეს უკეთესი იქნებოდა. ბოლომდე მეგონა, რომ ჭკუაზე მოვიყვანდი, გარშემო ხალხიც აკვირდებოდა ჩვენი ურთიერთობების განვითარებას.

ახლა მათ თვალში მე ჩემი ღირსება დავიცავი. ჩემმა ცოლმა კი, თავისი არჩევანი თვითონ გააკეთა.